ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება

მოდული: ფინანსები და საბანკო საქმე

საბა ლაკირბაია

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი და ქვეყნის ეკონომიკის აქტუალური საკითხები

ხელმძღვანელი: აკადემიური დოქტორი

ავთანდილ ჩუთლაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი მუდმივად უარყოფით ტენდენციას ავლენს, იმპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტის მაჩვენებელს (2018 წელს ექსპორტი შეადგენდა 4,407 მლნ აშშ დოლარს, იმპორტის მოცულობამ კი 8,518 მლნ დოლარი შეადგინა) ექსპორტის მკვეთრად დაბალი დონე ყოველთვის" საქართველოს" ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა.

საგადასახდელო ბალანსი - საერთაშორისო გადახდების ბალანსი ე.წ „B.O.P.“ ან „BoP“, წარმოადგენს ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების ბუღალტრულ ჩანაწერს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში.გარიგების მონაწილე მხარეებად ითვლებიან: ინდივიდუალური პირები, ფირმები და სახელმწიფო ორგანოები.

საგადასახდელო ბალანსის ტრანზაქციები მოიცავს გადახდებს განხორციელებულ: იმპორტსა და ექსპორტზე, საქონელზე, მომსახურებაზე, ფინანსურ კაპიტალსა და სატრანსფერო გადასახადებზე.იგი მზადდება როგორც წესი, ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაში. „BoP“- ის ანგარიშებში საზღვარგარეთიდან მიღებული შემოსულობები აღირიცხება კრედიტის მხარეს, ხოლო საზღვარგარეთში გადახდილი გადასახადები კი დებეტურ ნაწილში.

თუ ქვეყანა ექსპორტის ოდენობა ჭარბობს იმპორტის თანხაზე, იგი ხასიათდება დადებითი სავაჭრო ბალანსით, და პირიქით, თუ ქვეყანა იმპორტის წილი საგადამხდელო ბალანსში აღემატება ექსპორტის შესაბამის ოდენობას, მას აქვს სავაჭრო დეფიციტი ან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2018 წლის მონაცემებით, 190-დან მხოლოდ 56 ქვეყანას გააჩნია დადებითი სავაჭრო სალდო, რაც აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკასაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის.

Anotation

Balance of payments of “Georgia” is constantly negative as the amount of import greatly exceeds the figure of export (In 2018,export amounted in 4,407 million dollar USD,while the import volume was 8,518 million dollars USD) thus the balance of payments in “Gerogia” in 2018 has negative trade balance so as in previous years.The issue of shortage of export size is always one of the main problems in “Georgia”,as the country troubles to increase the amount of exported goods in foreign countries.

The **balance of payments**, also known as **balance of international payments** and abbreviated **B.O.P.** or **BoP**, of a country is the record of all economic transactions between the residents of the country and the rest of the world in a particular period of time (e.g. a quarter of a year). These transactions are made by individuals, firms and government bodies. Thus the balance of payments includes all external visible and non-visible transactions of a country.

Transactions include payments for the country's exports and imports of goods, services, financial capital, and financial transfers. It is prepared in a single currency, typically the domestic currency for the country concerned. In the BoP accounts, all the receipts from abroad are recorded as credit and all the payments to abroad are debits.Sources of funds for a nation, such as exports or the receipts of loans and investments, are recorded as positive or surplus items. Uses of funds, such as for imports or to invest in foreign countries, are recorded as negative or deficit items.

If a country exports a greater value than it imports, it has a trade surplus or positive trade balance, and conversely, if a country imports a greater value than it exports, it has a trade deficit or negative trade balance. As of 2018, about 55 out of 190 countries have a trade surplus.Which is also a signifcant international issue.

სარჩევი

შესავალი 6

1. საგადასახდელო ბალანსის არსი, სტრუქტურა და წარმოების პრინციპები 8

1.1 საგადასახდელო ბალანსის წარმოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 8

1.2 საგადასახდელო ბალანსის არსი 11

1.3 საგადასახდელო ბალანსის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემა 13

1.4 საგადასახდელო ბალანსის მუხლების სტრუქტურა 16

1.5 საგადასახდელო ბალანსის წარმოების პრინციპები 22

1.6 ოპერაციების ასახვა საგადასახდელო ბალანსში 24

1.7 საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ზოგადი მიმოხილვა 27

2.საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ძირითადი მახასიათებლები და უარყოფითი ტენდენციები 32

2.1 საქართველოს ექსპორტის ძირითადი კომპონენტები 32

2.2 ექსპორტი უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით 36

2.3 ექსპორტის ხელშეწყობა 38

2.4 საქართველოს იმპორტის ძირითადი შემადგენელი ნაწილები 39

2.5 იმპორტი უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით 41

2.6 ტრანსფერების გავლენა საგადასახდელო ბალანსზე 43

2.6.1 ფულადი გზავნილების არსი 43

2.6.2 ფულადი გზავნილების დადებითი და უარყოფითი ასპექტები 47

3. საქართველოს ეკონომიკის აქტუალური საკითხები და საგადასახდელო ბალანსი 52

3.1 ინოვაცია და ტექნოლოგიები 52

3.1.1 საქართველოსა და რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის შედეგების შედარება 58

3.1.2 ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები 59

3.1.3 „სტარტაპ“ საქართველო 64

3.1.4 მცირე გრანტები 65

3.2 ტურიზმის განვითარების ეკონომიკური სარგებელი 66

3.2.1 სტრატეგია „ტურიზმი 2025“ 66

3.2.2 ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის მექანიზმი საქართველოში 69

3.2.3 ტურიზმის წილი საქართველოს და მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებში 73

3.3 სოფლის მეურნეობის განვითარება 77
3.3.1 შესავალი 77
3.3.2 სოფლის განვითარების პირველი პრიორიტეტული სფერო..... 79
3.3.3 რა აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას?..... 82
3.3.4 სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში..... 85
3.3.5 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდის პოტენციალი..... 88
3.3.6 ექსპორტის ზრდის შემზღუდველი ფაქტორები..... 90

დასკვნები და რეკომენდაციები 92

გამოყენებული ლიტერატურა 97

შესავალი

თემის აქტუალურობა: მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები წამოადგენს ეკონომიკური მეცნიერების კვლევის ძირითად მიმართულებებს. აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტენდენციების შესწავლა (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საგადასახდელო ბალანსის დეტალური ანალიზის ჩატარებას) შემდგომი დასკვნების გამოსატანად და რეკომენდაციების შემუშავებისათვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობის ობიექტურად შეფასებისა და მომავალი მიმართულებების განსაზღვრისათვის. საკითხის აქტუალობას ზრდის ისიც, რომ გლობალიზაციის დაჩქარებული და შეუქცევადი პროცესი მოითხოვს არგუმენტირებულ პასუხებს არა ერთ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გამოწვევაზე.

თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში ჩართულობის მაღალი ხარისხი და მრავალმხრივი სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს წინაპირობას ძლიერი, სტაბილური ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის. ასევე გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ რომ, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის უნარსა და შესაძლებლობაზე აწარმოოს მისთვის ხელსაყრელი პროდუქცია, მიაღწიოს შეფარდებითი უპირატესობა და ამით კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებს. შესაბამისად, ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შესწავლა და მისი გამოყენება შემდგომი პროგნზისა და ანალიზისათვის.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას რომ საგადასახდელო ბალანსის ეფექტური დონის მიღწევა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთ უმთავრეს პირობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომაა, რომ მის ანალიზსა და შესწავლას უამრავი ძალისხმევას ახმარენ სხვადასხვა განვითრებული თუ განვითრებადი ქვეყნები.

კვლევის მიზანი თემის აქტუალურობაში გარკვევის შემდეგ აუცილებელია ვისაუბროთ უშუალოთ საკვლევი უბიექტის მიზანსა და ამოცანებზე. საგადასახდელო ბალანსის შესწავლის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

- საგადასახდელო ბალანსის მოკლე ისტორიული მიმოხილვა
- საგადასახდელო ბალანსის არსსა და სტრუქტურაში გარკვევა
- საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურის ანალიზი და მისი აუცილებლობის შესწავლა
- საგადასახდელო ბალანსის მაჩვენებლისა და შემადგენელი კომპონენტების ანალიზი
- საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა

კვლევითი პროექტის მეთოდოლოგიური ბაზა. კვლევითი პროექტი ეფუძნება ქართულ და უცხოურ ლიტერატურას. გამოყენებულია სახელმძღვანელოები და ინტერნეტით მოძიებული მასალები, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სტატიები.

პრობლემატური საკითხების განხილვა თემაზე მუშაობის პერიოდში გაირკვა, რომ, როგორც ცალკეულ მკვლევარებს, ასევე სხვადასხვა ბიზნეს სტრუქტურების წარმომადგენლებს ჰქონდათ ეკონომიკის გაუმჯობესების მოლოდინი, რომელიც თავის მხრივ საგადასახდელო ბალანსის ეფექტური დონისთვის მიღწევას მოიაზრებდა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა ინვესტიციების გააქტიურებაზე და ექსპორტის შემცველი დარგების განვითარებაზე. ბიზნესის განვითარებაში სრულყოფას მოითხოვს არაერთი გარე და შიდა ეკონომიკური ფაქტორი, რამაც ჩვენი კვლევა უფრო აქტუალური გახადა.

თანამედროვე ეტაპზე წარმოიშვა პრიორიტეტული დარგებისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

დღეისათვის საქართველოში ეკონომიკის განვითარების დონე სასურველისაგან ძალიან შორსაა. დაბალია საქმიანი აქტიურობა, მაღალია უმუშევრობის დონე, გაზრდილია ინფლაცია, გაუფასურებულია ეროვნული ვალუტა, საგადასახდელო ბალანსი კი უკვე ტრადიციულად მკვეთრად დეფიციტურია. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2018 წლის მონაცემებით (მიმდინარე ფასებით) 4,345,5.[1]დოლარს შეადგენს, რაც საშუალო მსოფლიო დონის დაახლოებით მესამედია. ჩვენთვის პრიორიტეტულია აღნიშნული პრობლემების მიმოხილვა მათი ანალიზი და გადაჭრის გზების წარმოდგენა.

1. საგადასახდელო ბალანსის არსი, სტრუქტურა და წარმოების პრინციპები

1.1 საგადასახდელო ბალანსის წარმოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ნებისმიერი ქვეყნის ინტერესებში შედის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესწავლა, ეროვნული ეკონომიკის ანალიზი, მისი პროგნოზირება და უცხოურ ბაზრებთან ურთიერთკავშირის გავლება. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე დიდწილადაა დამოკიდებული გარე სამყაროსთან ურთიერთკავშირზე. სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო ბაზრების ლიბერალიზაციის პოლიტიკა რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ ქვეყანას უფრო ახლო საგარეო და სავაჭრო ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქვეყნებთან.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესწავლის ანალიზისა და პროგნოზირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს სწორედ საგადასახდელო ბალანსი. მისი მეთოდოლოგია ხელს უწყობს შესაბამისი ინფორმაციისა და მონაცემების

[1] http://www.geostat.ge/zogadi,informacia

მრავალმხრივ გამოყენებას ქვეყნის საგარეო ეკონომიკური აქტივობის, გადახდისუნარიანობის ანალიზის და პროგნოზირების თვალსაზრისით. საგადასახდელო ბალანსის გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრა, სავალუტო ბაზრის და კურის რეგულირებისათვის.

სასურველია ვისაუბროთ უშუალოდ ტერმინ „საგადასახდელო ბალანსის“ წარმოშობის ისტორიაზე. პირველად ეს ტერმინი გამოყენებულ იყო 1767 [2]წელს მერკანტელიზმის მიმდევარ „ჯეიმს სტიუარტის“ მიერ, რომელიც მან გამოიყენა თავის ნაშრომში „გამოკვლევები პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების თობაზე“. მას საზოგადოების ნებისმიერი ფენის სიმდიდრის წყარო სწორედ რომ საგარეო ვაჭრობა წარმოადგენდა, საგარეო ვაჭრობას კი თავის მხრივ საგადასახდელო ბალანსთან აიგივებდა. აქტიური საგადასახდელო ბალანსის წყაროდ კი მას ოქროს მაქსიმალური შემოდინება მიაჩნდა. საგადასახდელო ბალანსის აქტუალობა არასდროს იკლებდა და მუდმივად იყო მეცნიერ-ეკონომისტების მსჯელობის საგანი. ხოლო ოფიციალურ პუბლიკაციაში „საგადასახდელო ბალანსს“ ვხვდებით 1922 წლის მონაცემებით გამოაქვეყნა აშშ-ს ვაჭრობის სამინისტრომ 1923 წელს. ამ ბალანსში საგარეო ეკონომიკური ოპერაციები 1943 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა ხ. ლერიმ შეადგინა აშშ-ს 1919-1939 წლების საგადასახდელო ბალანსი, რომლის მეთოდოლოგია საფუძვლად დაედო აშშ-ს საგადასახდელო ბალანსების გაანგარიშებას ომის შემდგომი პერიოდისათვის. 1946 წლიდან აშშ-ს ვაჭრობის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიწყო კვარტალური და წლიური საგადასახდელო ბალანსების გამოქვეყნება ჟურნალში “Survey of Current Bussiness”. აღსანიშნავია, რომ ეს ჟურნალი ყოველთვიურად გამოიცემა აღნიშნული დეპარტამენტის მიერ 1921 წლიდან და მოიცავს მაკროეკონომიკურ და ფინანსურ მაჩვენებელებს მთელი ქვეყნისა და მისი რეგიონების მიხედვით. საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიის განვითარებაში დიდი როლი ერთა ლიგამ შეასრულა. მისი ეგიდით 1924 წელს გამოქვეყნდა რიგი ქვეყნების საგადასახდელო ბალანსები, რითაც მისი მეთოდოლოგიური საკითხების გარდა, საგარეო ეკონომიკური

[2] ი.გოგოძე ,ნ.ასლამაზიშვილი.საგადასახდელო ბალანსი - ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი 1992 წ,(გვ-79-111)

საქმიანობის მაჩვენებელთა სისტემის საერთაშორისო შესადარისობის პრობლემები წამოსწია წინ. ერთა ლიგის დამსახურებაა საგადასახდელო ბალანსის მეთოდოლოგიის სტანდარტიზაციისა და გაანგარიშების რეკომენდაციების საფუძვლების შემუშავება. საგარეო სექტორის სტატისტიკის სტანდარტების შექმნისა და განვითარების საკითხები საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნის დღიდან მისი საქმიანობის პრიორიტეტებს შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა. 1947 წლის სექტემბერში 30 ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიკრიბა ვაშინგტონში, რათა ემსჯელათ საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის პირველი სახელმძღვანელოს (BPM1) შექმნის საკითხებზე. ამ სახელმძღვანელოს მიზანი იყო, ერთი მხრივ, საერთაშორისო სავალუტო ფონდში საგადასახდელო ბალანსის მონაცემთა რეგულარული წარდგენის ერთიანი მიდგომის ფორმირება და, მეორე, ჯერ კიდევ ერთა ლიგის მიერ დაწყებული საქმიანობის გაგრძელება საგადასახდელო ბალანსის სტატისტიკის სტანდარტული ფორმით განვითარების მიმართულებით.

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენს ქვეყანას, 1993-2007 წლებში საგადასახდელო ბალანსის წარმოებაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენდა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. ხოლო ძირითადად, სხვა ქვეყნების მაგალითს თუ ავიღებთ მათ უმეტესობაში სტატისტიკის ამ დარგის წარმოება ცენტრალური ბანკის პრეროგატივაა. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული საკითხის ამგვარი გადაწყვეტა რამდენიმე მოსაზრებამ განაპირობა:

1) საგადასახდელო ბალანსის გაანგარიშების სამუშოების დაწყების ინიციატივა უმთავრესად განპირობებული იყო სტატისტიკური სამუშაოების წარმოების მეტი გამოცდილებით სტატისტიკის სამსახურში, ვიდრე რომელიმე სხვა უწყებაში. ეს ფაქტი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ჩვენი ქვეყნის რეალობაში გასული 90 იანი

წლების დასაწყისში, როდესაც პოლიტიკური არასტაბილურობა, სამოქალაქო ომი და სხვა უარყოფითი გარემოებები გამორიცხავდა მსგავსი სიახლეების წამოწყებას.

2) იმ პერიოდში ფინანური სექტორი არ არსებობდა, შესაბამისად საგადასახდელო ბალანსის შედგენის სამუშაოების დაწყებაზე ოცნებაც ზედმეტი იყო.

3) პროფესიონალთა დიდი ძალისხმევის ხარჯზე მოხდა პრობლემის დასმა, განხილვა და იმაზე შეჯერება რომ ქვეყანას დაუყოვნებლივ ესაჭიროებოდა საგადასახდელო ბალანსის, როგორც სტატისტიკური ინსტრუმენტის შემუშვება.

როგორც აღვნიშნეთ, იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახდელო ბალანსის წარმოებაზე პასუხისმგებელია ცენტრალური ბანკები, მისი ინფორმაციით უზრუნველყოფაც სწორედ საბანკო სტატისტიკაზე დაყრდნობით ხორციელდება. აქედან გამომდინარე შეიძლება იმის თქმა რომ, კარგად განვითრებული საბანკო სისტემის პირობებში, საგადასახდელო ბალანსის შედგენა ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რასაც ვერ ვიტყით საქართველოს მაგალითზე. აღსანიშანვია რომ, 2007 წლიდან საქართველოს საგადასახდელო ბალანსის წარმოებაზე პასუხისმგებლობა გადაეცა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

1.2 საგადასახდელო ბალანსის არსი

ახლა უკვე, როდესაც საგადასახდელო ბალანსის მოკლე ისტორიული მიმოხილვა წარმოვაჩინეთ, აუცილებელია პირველ რიგში ვისაუბროთ უშუალოდ საგადასახდელო ბალანის ძირითად არსსა და მასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიის განმარტებაზე.

საგადასახდელო ბალანსი — საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს განსაზღვრულ პერიოდში (თვე, კვარტალი, წელი) მოცემული ქვეყნის ეკონომიკური ერთეულების მიერ სხვა ქვეყნების ანალოგიურ წარმომარგენლებთან განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციებიის ჯამური ბალანსი. იგი ახასიათებს ქვეყნის სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობებს საზღვარგარეთთან და ასახავს შესაბამისი ოპერაციების მიხედვით სავალუტო შემოსავალ-გასავალს შორის თანაფარდობას. საგადასახდელო ბალანსი ასევე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მის დახმარებით საშუალება გვეძლევა შევაფასოთ საგარეო ვაჭრობის ტენდენციები, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირში დასაქმებისსა და წარმოების დონესთან ისევე როგორ მოხმარებასთან. აღსანიშნაავია რომ, საერთაშორისო სავალუტო

ფონდის 2016 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 188 ქვეყნიდან, რომლებიც აქვეყნებენ საგადასახდელო ბალანსის მონაცემებს, 126-ის, ანუ ორი მესამედის ბალანსი დეფიციტურს წარმოადგენს.

საგადასახდელო ბალანსი ასევე შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებული ფულადი ტრანზაქციების ბუღალტრული ჩანაწერი. ეს ტრანზაქციები მოიცავს გადახდებს განხორციელებულ: იმპორტსა და ექსპორტზე, საქონელზე, მომსახურებაზე, ფინანსურ კაპიტალსა და სატრანსფერო გადასახადებზე. საგადასახდელო ბალანსი დგება გარკვეულ პერიოდზე და ძირითადად ქვეყნის ადგილობრივ ვალუტაში. ეროვნული ფონდების წყაროები, როგორიცაა ექსპორტი ან შემოსავალი სესხებიდან და ინვესტიციებიდან, აღირიცხება როგორც დადებითი ბალანსის ანგარიშები. ხოლო იმპორტი და სხვა ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება როგორც უარყოფითი ბალანსის ანგარიშები.

საგადასახდელო ბალანსის დამატებითი განმარტებაც შეგვიძლია მოვიშველიოთ რომლის შინაარსიც თავდაპირველ განმარტებასთან თანხვედრაშია. საგადასახდელო ბალანსი ეს არის მაკროეკონომიკური სტატისტიკური ანგარიში, რომელიც სისტემური სახით ასახავს დროის განსაზღვრულ პერიოდში მოცემულ ეკონომიკასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ტრანზაქციებს (კვარტალი, წელი). მის განმარტებასთან ერთად აუცილებელია განვიხილოთ ის ძირითადი პრინციპები რომელსაც ეფუძნება საგადასახდელო ბალანსი.

საგადასახდელო ბალანსის დანიშნულებაა ეკონომიკური ოპერაციების ასახვა მოცემულ ეკონომიკასა და საზღვარგარეთს შორის. მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, საგადასახდელო ბალანსი წონასწორულ მდგომარეობაშია დანარჩენ სამყაროსთან, თუ საქონლისა და მომსახურების უცხოეთში გაყიდვებიდან ამონაგები და აგრეთვე შემოსავლები უცხოეთში განხორციელებული დაბანდებებიდან ტოლია საზღვარგარეთიდან საქონლისა და მომსახურების იმპორტზე გაწეული დანახარჯებისა და

არარეზიდენტების იმ ინვესტიციებიდან შემოსავლების ჯამისა, რომლებსაც ისინი იღებენ მოცემულ ქვეყანაში მათ მიერ განხორციელებული კაპიტალდაბანდებებიდან.

მეორე მხრივ, საგადასახდელო ბალანსი განიხილება, როგორც ქვეყნის საერთაშორისო გადასახდელების ოფიციალური ანგარიში, რომელიც წარმოდგენილია სამი ქვეანგარიშით. ესენია:

- მიმდინარე ანგარიში
- კაპიტალის ანგარიში
- ფინანსური ანგარიში.

უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ თიოთოეულ მათგანზე საგადასახდელო ბალანსის მუხლების სტრუქტრაზე (1.4 ქვეთავი) საუბრისას შევეხებით.

1.3 საგადასახდელო ბალანსის შეფასების ძირითადი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემა

საერთაშორისო მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განსაზღვრულია საგადასახდელო ბალანსის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემა, ჩვენ გამოვყოფთ ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

1. საგარეო ეკონომიკური სექტორის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისა და მდგრადობის ხარისხი;
2. მიმდინარე ოპერაციების დაბალანსებულობა;
3. კაპიტალის მოძრაობის დაბალანსებულობა;
4. ოქრო სავალუტო რეზერვების დაბალანსებულობა.

მსოფლიო შემოსავლების განაწილებაში აქტიური მონაწილეობა უშუალოდ ზემოქმედებს ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დინამიკაზე და კონკურენტუნარიანობაზე. როგორც წესი, საგადასახდელო ბალანსის სალდო მერყეობს ეკონომიკური ზრდის ხასიათის ცვალებადობის კვალობაზე. დადებითი სალდოთი

ხასიათდებიან უპირატესად განვითარებული და წარმატებული ახალი ინდუსტრიული ქვეყნები, მაშინ როდესაც პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ჩამორჩენილი ქვეყნები უარყოფითი სალდოთი ხასიათდებიან.

კონკურენტუნარიანობის ამაღლება უშუალოდ არის დაკავშირებული მდგრად განვითარებაზე გადასვლასთან, რომელიც, უსაფრთხოებასთან ერთად, გლობალიზაციის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელ სტრატეგიად გადაიქცა. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის უზრუნველყოფა, განსაზღვრული მაჩვენებლების მიზანდასახული მართვისა და საერთოდ საგადასახდელო ბალანსის პროგრამირების საფუძველზე. მოვიყვანოთ გრაფიკული ილუსტრაცია[3] (იხ. ცხრილი №1)

ამ მაჩვენებლების გაანგარიშება საფუძვლად უდევს საგადასახდელო ბალანსის სახელმწიფოებრივ რეგულირებას. ამის საფუძველზე მუშავდება და ხორციელდება საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა სხვა ქვეყნებთან, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით მსოფლიო ფინანსური კრიზისისა, რაც მსოფლიო მეურნეობაში არასტაბილური ტენდენციების გაძლიერებასთან არის დაკავშირებული, ძალიან აქტუალური გახდა მდგრადობის მაჩვენებლების უსაფრთხო ზღვრული სიდიდეებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შეფასების პრობლემა. (ცხრილი №2)

[3]მ.ვანიშვილი,ზ.ვაშაკიძე,ნ.კიკაჩეიშვილი,გ.ჯუღელი-საქართველოს საგადასამხდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თვისებურებანი 2009 წ.

საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის ტრადიციული მაჩვნებლები (ცხრილი № 1)

№	მაჩვეწებელი	შინაარსი
1	იწვესტიციური შემოსავლების კრედიტი/მიმდიწარე ოპერაციების აწგარიშის კრედიტი	თანაფარდობა,რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდიწარე შემოსავლებში იწვესტიციებიდან შემოსავლების წილს გვიჩვეწებს.
2	ივესიტიციური შემოსავლების დებეტი/მიმდიწარე ოპერაციების აწგარიშის დებეტი	მიმდიწარე ხარჯებში ქვეყნის შიგნით საზღვარგარეთულ იწვესტიციებზე გადახდების წილს გვიჩვეწებს.
3	მიმდიწარე ოპერაციების აწგარიშის ბალანსი/მშპ	თანაფარდობა,რომელიც მიმდიწარე სალდოს შეფარდებით სიდიდეს გვიჩვეწებს.
4	სავალუტო რეზერვები/საქონლის და მომსახურების იმპორტთან	თანაფარდობა,რომელიც გიჩვეწებს ქვეყნის უნარს დაფაროს თავისი საგარეო ვალდებულებები.
5	მთლიანი (წმინდა) საგარეო ვალი / მშპ	თანაფარდობა ,რომელიც ქვეყნის ეკომოწიკისათვის საგარეო დავალიანების შედარებით სიმძიმეს გვიჩვეწებს.
6	ექსპორტი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის კრედიტი	თანაფარდობა,რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე შემოსავლებში საექსპორტო შემოსავლების წილს გვიჩვენებს
7	იმპორტი/მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დებეტი	თანაფარდობა,რომელიც ქვეყნის მთლიან მიმდინარე გასავლებში იმპორტზე ხარჯების წილს გვიჩვენებს

საგადასახდელო ბალანსის უსაფრთხოების ზღვრული მაჩვენებლები (ცხრილი № 2)

მაჩვენებელი	ზღვრული სიდიდეები
2	3
მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის ბალანსის უარყოფითი სალდო მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 10%-სა
საგარეო ვალის სიდიდე მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 30%-სა
წმინდა ექსპორტი მშპ-ის მიმართ	არაუმეტეს 2-3%-ისა
ხარჯების წილი სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების მოცულობის მიმართ	არაუმეტეს 20%-სა
ინოვაციური პროდუქციის წილი სამრეწველო პროდუქციაში	არანაკლებ 15%-სა
სავალუტო რეზერვები საქონლის და მომსახურების იმპორტის მიმართ	არანაკლებ 3-4 თვის იმპორტისა
საგარეო ვალი საქონლის და მომსახურების ექსპორტის მოცულობის მიმართ	არაუმეტეს 165%-სა
საგარეო ვალის მომსახურება საქონლისა და მომსახურების ექსპორტის მიმართ	არაუმეტეს 18%-სა

1.4 საგადასახდელო ბალანსის მუხლების სტრუქტურა

საგადასახდელო ბალანსის ტრანზაქციები თავის მხრივ აისახება მუხლებში რომლის კლასიფიცერაბაც შემდეგნაირად შეგვიძლია მოვახდინოთ:

- საქონელი
- მომსახურება
- პირველადი შემოსავალი
- მეორადი შემოსავალი
- კაპიტალის ანგარიში
- ფინანსური ანგარიში
- პირდაპირი ინვესტიცია
- პორტფელური ინვესტიცია
- სხვა ინვესტიცია,სარეზერვო აქტივები

1) **საქონელი** - მოიცავს ტრანზაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტ/იმპორტთან და გამოხატავს რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის საკუთრების ცვლილებას (ზოგადი ვაჭრობა, პორტებში შეძენილი საქონელი და არამონეტარული ოქრო)

საგარეო ვაჭრობა ნებისმიერი ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. რატომ ვაჭრობენ სახელმწიფოები?საგარეო სავაჭრო ურთიერთობების წარმოშობა და განვითარება არაერთი ობიექტური გარემოების არსებობას უკავშირდება. ჯერ ერთი, ეს არის საწარმოო ძალების განვითარება, წარმოების მასშტაბების გაფართოება და სატრანსპორტო საშუალებების შესაძლებლობების ზრდა; მეორე, სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების განვითარების არათანაბარი დონე, რაც იწვევს მეტად განვითარებული დარგების პროდუქციის შიდა ბაზარზე მიწოდების გადაჭარბებას მოთხოვნაზე და საერთაშორისო ბაზარზე მისი გატანის აუცილებლობას; მესამე, მინერალური ნედლეულის

არათანაბარი განლაგება გეოგრაფიული თვალსაზრისით, რაც იწვევს რიგი ქვეყნებისათვის ნედლეულის იმპორტის აუცილებლობას, ხოლო სხვებისათვის - ექსპორტის შესაძლებლობას; მეოთხე, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, რაც განაპირობებს ტურისტული, სატრანზიტო და სხვა ბუნებრივი პოტენციალის არსებობას და ამის საფუძველზე სავალუტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობას; მეხუთე, ინტელექტუალური პოტენციალის არსებობა, რაც წარმოშობს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, ინოვაციებისა და ტექნიკური გამოცდილების სფეროში მომსახურების ექსპორტის შესაძლებლობას.

საქონლის ცნება, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, გულისხმობს ნებისმიერ გადაადგილებად ღირებულებას, ანუ მოძრავ ქონებას, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის, ან სხვა ფორმით გასხვისების საგანს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ ერთეულებს შორის. იგი მოიცავს:

- საქონლის ექსპორტს და იმპორტს;
- პორტებსა და აეროპორტებში სატრანსპორტო საშუალებების მიერ შეძენილ საქონელს;
- განსაკუთრებული სახის საქონელს, როგორიცაა ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია;
- არამონეტარულ ოქროს.

საქონლის ექსპორტი/იმპორტი წარმოადგენს საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისოპერაციას-რეზიდენტის/არარეზიდენტის-მიერ არარეზიდენტისათვის/რეზიდენტისათვის (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა). საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაცია კი, თავის მხრივ, გულისხმობს საქონელთან დაკავშირებულ ნებისმიერ კომერციულ, ან არაკომერციულ ოპერაციას რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის, რომლის დროსაც ხდება საქონლის გადაადგილება და მასზე მფლობელობის შეცვლა. პრაქტიკაში საქონლის ექსპორტი/იმპორტი ხორციელდება სხვადასხვა ფორმით, რასაც განსაზღვრავს ე. წ. ოპერაციის ხასიათი, ანუ ის თავისებურება, რითაც ერთი ოპერაცია განსხვავდება მეორისაგან. საქონლის ექსპორტის/იმპორტის მიზანი

შეიძლება იყოს მისი ყიდვა-გაყიდვა, ანუ საგარეო ვაჭრობა, აგრეთვე ჩუქება, პირდაპირი ინვესტირება, იჯარა, კონტრაბანდა და სხვა.

საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა შეიძლება იყოს, ან არ იყოს დაკავშირებული ამ საქონლის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან, ისევე, როგორც ეს უკანასკნელი ყოველთვის არ არის კავშირში საქონელზე საკუთრების უფლების ცვლილებასთან. მაგალითად, მოცემული ქვეყნიდან ტვირთის გაგზავნა სხვა ქვეყანაში საკუთარი დიპლომატური წარმომადგენლობისათვის დაკავშირებულია ამ ტვირთის მიერ საზღვრის გადაკვეთასთან, მაგრამ რეზიდენტობის თვალსაზრისით ეს ტვირთი მფლობელს არ იცვლის. შესაბამისად, ეს ოპერაცია არ წარმოადგენს საგარეო სავაჭრო ოპერაციას, ანუ სავაჭრო ოპერაციას რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის და არ ექვემდებარება საგადასახდელო ბალანსში ასახვას. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა ტვირთმა არ გადაკვეთოს ქვეყნის საზღვარი, თუმცა ოპერაცია განხორციელდეს რეზიდენტსა და არარეზიდენტს შორის (მაგალითად, მოცემული ქვეყნის თევზსაჭერი გემიდან, რომელიც საქმიანობს საერთაშორისო წყლებში, თევზის გაყიდვა არარეზიდენტებზე). ასეთი ოპერაცია, ცხადია ექვემდებარება საგადასახდელო ბალანსში ასახვას. საქონლის ექსპორტ-იმპორტის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში სტატისტიკური დაკვირვების ფორმას წარმოადგენს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია, რომლის გარეშეც ქვეყნის საზღვარზე საქონლის გადაადგილება დაუშვებელია. საგარეო სავაჭრო ოპერაციებზე სტატისტიკური დაკვირვების ეს ფორმა, როგორც საბაჟო, ისე საგადასახადო და სტატისტიკური მიზნებისათვის, გამოიყენება მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში და ცნობილია ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის (Single administrative document - SAD) სახელწოდებით. როგორც წესი, საქონლის დეკლარირება ხდება დეკლარანტის, ანუ საქონლის გამგზავნის, ან მიმღების მიერ. ასევე ეს პროცედურა შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული იურიდიული, ან ფიზიკური პირის მიერ, რომელსაც საბაჟოსთან სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე აქვთ ნებართვა საქონლის დეკლარირების თაობაზე.

ამდენად, საქონლით საერთაშორისო ვაჭრობა მოიცავს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების საფუძველზე ფორმირებულ საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებს, კორექტირებულს იმ ნაკადებით, რომლებიც არ არის დაფიქსირებული სატვირთო-საბაჟო დეკლარაციებში და ასევე იმ ნაკადებით, რომლებიც დაფიქსირებულია სატვირთო საბაჟო დეკლარაციებში, მაგრამ თავისი ხასიათის გამო არ მიეკუთვნება საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის კატეგორიას და სხვაგვარად კლასიფიცირდება. ანუ, სხვა სიტყვებით, საქონლის კატეგორია, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების კონტექსტში, მოიცავს თითქმის ყველა გადაადგილებად საქონელს, რომელზედაც ხდება საკუთრების უფლების შეცვლა რეზიდენტიდან არარეზიდენტის სასარგებლოდ, ან პირიქით.

2) მომსახურება - მოიცავს ყველა სახის მომსახურებას, რასაც უწევენ რეზიდენტები არარეზიდენტებს ან პირიქით. რომელიც იყოფა: მანუფაქტურული მომსახურება (მომსახურება მატერიალური რესურსების დამუშავებით, როდესაც მატერიალური რესურსი სხვა ქვეყნის საკუთრებაა); საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი; ტრანსპორტი, მასში შედის ყველა სახის ტრანსპორტით გაწეული მომსახურება (მათ შორის მილსადენითტრანსპორტირება) და საფოსტოდა საკურიერო მომსახურება. მგზავრების, ტვირთის (ფრახტის) ტრანსპორტირება და სხვა სახის სატრანსპორტო მომსახურება (ტვირთის მოვლა, შენახვა, სატრანსპორტო საშუალებების დასუფთავება და სხვ.) კლასიფიცირდება თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიხედვით, გარდა მილსადენით ტრანსპორტირებისა. ტურიზმი – აღნიშნული მუხლი კრედიტის მხარეს აღრიცხავს საქართველოში ყოფნისას არარეზიდენტი მგზავრების სამოგზაურო დანახარჯებს როგორც ბიზნესის, ასევე პირადი მიზნებისათვის. რეზიდენტი ტურისტების სამოგზაურო დანახარჯები უცხო ქვეყნებში აღირიცხება ტურისტული ხარჯების დებეტის მხარეს. ფინანსური მომსახურება მოიცავს საფინანსო შუამავლობასა და დამხმარე მომსახურებას რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, რომელიც იყოფა ცხადი სახით დარიცხულ და სხვა ფინასურ მომსახურებად და არაპირდაპირი გზით შეფასებულ ფინანსურ მომსახურებად (FISIM).

სხვა მომსახურება ასახავს ისეთი ტიპის მომსახურებას, როგორიცაა მშენებლობა, სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება; სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება; ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა; პერსონალური, კულტურული და რეკრიაციული მომსახურება; სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი და სხვა.

3) პირველადი შემოსავალი

პირველადი შემოსავალი შეიძლება დაიყოს შრომით და საინვესტიციო შემოსავლებად.

- შრომითი

მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხელფასისა თუ სხვა სარგებელის სახით, ფულადი ან ნატურალური ფორმით, გადახდილი დამქირავებლის მიერ დაქირავებულზე, როცა მხარეები სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

- საინვესტიციო შემოსავალი

საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს რეზიდენტის საგარეო ფინანსური აქტივების ფლობიდან მისაღებ შემოსავალს ან გადასახდელებს არარეზიდენტის მიმართ არსებულ ვალდებულებებზე.

4) მეორადი შემოსავლები

გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერი არის დამაბალანსებელი ჩანაწერი რეალური ან ფინანსური აქტივების ერთი ეკონომიკიდან მეორე ეკონომიკაზე ცალმხრივად გადაცემის დროს. მიმდინარე ტრანსფერების ყველაზე გავრცელებული სახეა გრანტები, ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება. ეს მუხლი ასევე მოიცავს საწევრო შენატანებს სხვადასხვა საერთაშორისო და სამთავრობო ორგანიზაციებში;ფიზიკური პირების გადასახადებსა და გზავნილებს; სოციალურ დახმარებებს; წმინდა სადაზღვევო პრემიას სიცოცხლის

დაზღვევის გარდა; სადაზღვევო მოთხოვნებს სიცოცხლის დაზღვევის გარდა და სხვა მიმდინარეტრანსფერებს.

5) კაპიტალური ანგარიშები

რომელიც მოიცავს ყველა ოპერაციას, რაც დაკავშირებულია:

1. კაპიტალური ტრანსფერის მიღებასა და გადახდასთან (ვალის პატიება, არა-სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული მოთხოვნები, საინვესტიციო გრანტები, ერთჯერადი გარანტიები და სხვა სავალო შეთავაზებები, გადასახადები კაპიტალზე და სხვა კაპიტალური ტრანსფერები);
2. არა წარმოებული, არა-ფინანსური აქტივების შეძენა/გაყიდვა. აქ განიხილება ოპერაციები, რომლებიც ასოცირდება მატერიალურ აქტივებთან (მაგალითად, მიწა და წიაღისეული აქტივები), ისევე როგორც არამატერიალურ აქტივებთან (პატენტები, საავტორო უფლებები, სავაჭრო მარკები, ფრანშიზები და ა. შ.).

6) ფინანსური ანგარიშები როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ფინანსური ანგარიში იყოფა შემდეგ ნაწილებად: პირდაპირ იინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები, სარეზერვო აქტივები. თუმცა აქ უკვე სასურველი იქნება თუ უფრო სიღრმისეულად წარმოვაჩენთ თითოეული კომპონენტის შინაარს.

7) პირდაპირი ინვესტიცია არის საერთაშორისო ინვესტიციის კატეგორია. აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორის საწარმო). საწარმოს პირდაპირი ინვესტორი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების ან ხმის უფლების 10 პროცენტს ან მეტს (კორპორაციული საწარმოს შემთხვევაში), ან ეკვივალენტურ ძალაუფლებას
(არაკორპორაციული საწარმოს შემთხვევაში).

პირდაპირი ინვესტიციები ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით კლასიფიცირდება: სააქციო კაპიტალი და საინვესტიციო ფონდების აქციები, რეინვესტირებული შემოსავლები და სავალო ინსტრუმენტები.

8) პორტფელის ინვესტიცია შეიძლება იყოს:

- სააქციო კაპიტალის სახით (როდესაც ინვესტორი ფლობს წილის 10 პროცენტზე ნაკლებს).
- სავალო ფასიანი ქაღალდების სახით. რაც, თავის მხრივ, იყოფა გრძელვადიან (ობლიგაციები) და მოკლევადიან ინსტრუმენტებად. ფინანსური წარმოებულები - ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მიბმულია კონკრეტულ ფინანსურ აქტივზე, ინდიკატორზე ან რაიმე სახის აქტივზე. მათი მეშვეობით ხდება ფინანსური რისკებით ვაჭრობა საფინანსო ბაზრებზე. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ტრანზაქციებს სვოპებით, ოფციონებით, სადეპოზიტო გარანტიებითა და სხვ. და აღირიცხება წმინდა სახით.

9) სხვა ინვესტიცია,სარეზერვო აქტივები პირველ რიგში იყოფა: ფინანსური აქტივების შესყიდვა, წმინდა და ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინ- და. სხვა ინვესტიციებს მიეკუთვნება სხვა სააქციო კაპიტალი; ნაღდი ფული და დეპოზიტები; სესხები; სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები; სავაჭრო კრედიტები და ავანსები; სხვა დებიტორული/კრედიტორული დავალიანება; განაწილებული ნასესხობის სპეციალური უფლებები.სარეზერვო აქტივები თავის მხრივ, მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივებია და გამოიყენება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების შესასრულებლად, ეროვნული ვალუტის კურსის მხარდასაჭერად და საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისათვის. კერძოდ, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირდაპირ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან დეფიციტზე არაპირდაპირი ზეგავლენის მოსახდენად (სავალუტო ბაზარზე ჩარევის გზით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დასარეგულირებლად).

1.5 საგადასახდელო ბალანსის წარმოების პრინციპები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგადასახდელო ბალანსი საკმაოდ კომპლექსური სტატისტიკური ანგარიშია. მისი შესწავლა და მონაცემთა ანალიზი აღნიშნული ბალანსის საფუძვლებისა და წარმოების პრინციპების ღრმა ცოდნას მოითხოვს.

რას შეისწავლის საგადასახდელო ბალანსი?

საგადასახდელო ბალანსის შესწავლის საგანია რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულების ეკონომიკური ოპერაციები არარეზიდენტებთან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანუ იგი შეისწავლის[4] (იხ. ცხრილი №3)

საგადასახდელო ბალანსის შესწავლის საგანი (ცხრილი № 3)



რას წარმოადგენს ეკონომიკური ოპერაციები, რომლებიც საგადასახდელო ბ ალანსში

აისახება?ასეთი ოპერაციები დაკავშირებულია **რეზიდენტობის თვალსაზრისით საკუთრების უფლების გადაცემასთან**:

- საქონელზე.
- მომსახურებაზე.
- წარმოების ფაქტორებზე.
- არაწარმოებულ, არაფინანსურ აქტივებზე და.
- ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

[4] ნანა ასლამაზიშვილი - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა 2018 წ

1.6 ოპერაციების ასახვა საგადასახდელო ბალანსში

საბუღალტრო პრინციპის საფუძველზე. თითოეული ტრანზაქცია აღირიცხება ორი (ან მეტი) თანაბარი სიდიდის ჩანაწერით. ერთ–ერთი ჩანაწერი კეთდება კრედიტის მხარეს, ხოლო მეორე – დებეტის მხარეს. მაგალითად, საქონლის ექსპორტი საგადასახდელო ბალანსში აისახება როგორც ჩანაწერი ექსპორტის კრედიტის მუხლში და იმავე სიდიდის ჩანაწერი დებეტის მხარეს აქტივის მუხლში – „ნაღდი ფული და დეპოზიტები". მეტი თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ საგადასახდელო ბალანსის ძირითადი ოპერაციები და მათი ასახვა დებეტისა და კრედიტის მუხლებში. საკითხის უფრო სიღრმისეულად გააზრებაში მოვიყვანოთ საგადასახდელო ბალანსში ოპერაციების ასახვის ილუსტრაცია. (ცხრილი №4). აღსანიშნავია, რომ საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო ინვესტიციური მდგომარეობის სახელმძღვანელოს მე-5 გამოცემისაგან (***BPM5)*** განსხვავებით, მე-6 გამოცემაში (***BPM6***) შეიცვალა საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერების გატარების წესები, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ სახელმძღვანელოს წინა გამოცემაში თითოეული ოპერაციის საგადასახდელო ბალანსში ასახვა ხდებოდა ორი ეკვივალენტური თანხის გატარებით (როგორც კრედიტი და როგორც დებეტი), მხოლოდ საპირისპირო ნიშნით, სახელმძღვანელოს მე-6 გამოცემაში (***BPM6***) ეს წესი შეცვლილია, გამარტივების მიზნით. (ცხრილი №5). ამდენად, ყველა კრედიტისა და დებეტის სხვაობა ნულს უნდა უდრიდეს. თუმცა პრაქტიკაში, ხშირად საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები არ ბალანსდება. საგადასახდელო ბალანსის სხვადასხვა მუხლის შეფასება ხდება სხვადასხვა ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით. შედეგად, ყველა კრედიტისა და დებეტის ჯამი ერთმანეთს არ უდრის და საჭიროა დამაბალანსებელი ჩანაწერის გაკეთება შესაბამის მუხლში (წმინდა შეცდომები და გამოტოვებები).კრედიტში აისახება მიმდინარე ანგარიშსა და კაპიტალის ანგარიშზე ექსპორტი, მიღებული პირველადი და მეორადი შემოსავლები არამწარმოებლური არაფინანსური აქტივების გასავალი.მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანეთ საგადასახდელო ბალანსის ოპერაციების ასახვის ორივე ვარიანტი, როგორც მე-

5, ასევე მე-6 გამოცემა, რომელთა გამოყენებითაც უფრო ადვილად დავინახავთ მოცემულ რედაქციებს შორის გასხვავებებს. (იხილეთ შესაბამისი ცხრილები: №4, №5).

საგადასახდელო ბალანსი: ორმაგი ჩაწერის პრინციპის გამოყენება (ცხრილი № 4)

კრედიტი	დებეტი
• საქონლის ექსპორტი	• საქონლის იმპორტი
• მომსახურების მიწოდება	• მომსახურების შეძენა
• შემოსულობები წარმოების ფაქტორებიდან (სამუშაო ძალისა და არაწარმოებული აქტივების გამოყენებიდან მისაღები შემოსავლები)	• წარმოების ფაქტორების გამოყენება (სამუშაო ძალისა და არაწარმოებული აქტივების გამოყენებისათვის გადასახდელი ხარჯები)
• მისაღები მიმდინარე ტრანსფერები	• გადასახდელი მიმდინარე ტრანსფერები
• მისაღები კაპიტალური ტრანსფერები	• გადასახდელი კაპიტალური ტრანსფერები
• ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ასახავს ქვეყნის საგარეო აქტივების შემცირებას ან საგარეო ვალდებულებების ზრდას	• ფინანსური ოპერაციები, რომლებიც ასახავს ქვეყნის საგარეო აქტივების ზრდას ან საგარეო ვალდებულებების შემცირებას

ცვლილებები საგადასახდელო ბალანსში ოპერაციების ასახვის წესებში (ცხრილი № 5)

	BPM6	*BPM5*
მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშები	როგორც საკრედიტო, ისე სადებეტო ოპერაციები ჩაიწერება *დადებითი ნიშნით.*	საკრედიტო ოპერაციები ჩაიწერება *დადებითი ნიშნით,* სადებეტო ოპერაციები - *უარყოფითი ნიშნით.*
ფინანსური ანგარიში	აქტივების და ვალდებულებების ზრდა ჩაიწერება *დადებითი ნიშნით,* აქტივების და ვალდებულებების შემცირება ჩაიწერება *უარყოფითი ნიშნით.*	აქტივების ზრდა და ვალდებულებების შემცირება ჩაიწერება *უარყოფითი ნიშნით,* აქტივების შემცირება და ვალდებულებების ზრდა ჩაიწერება *დადებითი ნიშნით.*
ფინანსური ანგარიშის ბალანსი, ანუ ე.წ. წმინდა გასესხება/სესხება (წმინდა დაკრედიტება)	გაიანგარიშება, როგორც აქტივების ცვლილებას *მინუს* ვალდებულებების ცვლილება.	გაიანგარიშება, როგორც აქტივების ცვლილებას *პლუს* ვალდებულებების ცვლილება.

ფინანსურ ანგარიშზე აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვა წარმოებს ნეტოს საფუძველზე, თითოეული ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ცალკე კრედიტული და დებეტური გატარებების გარეშე.

ფინანსურ ანგარიშზე აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვა წარმოებს ნეტოს საფუძველზე, თითოეული ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ცალკე კრედიტული და დებეტური გატარებების გარეშე. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების ასახვისას გამოიყენება ტერმინი „ფინანსური აქტივების შესყიდვა, წმინდა" და „ფინანსური ვალდებულებების აღება, წმინდა".

აქტივების წმინდა შესყიდვა ტოლია აქტივების ზრდას მინუს მათი შემცირება. ვალდებულებების წმინდა აღება უდრის ვალდებულებების ზრდას მინუს შემცირება. ცვლილება პლუს ნიშნით ნიშნავს აქტივებისა და ვალდებულებების ზრდას, ხოლო მინუს ნიშნით - მათ შემცირებას. ძირითადი პრინციპი, რაც ოპერაციების შეფასებისას მხედველობაში მიიღება, არის საბაზრო ფასი.

საბაზრო ფასი განისაზღვრება როგორც თანხა, რომელსაც მყიდველი თავისი ნებით იხდის რაიმეს შესაძენად გამყიდველის სურვილის შესაბამისად, როდესაც ორივე მხარე არის დამოუკიდებელი და აღნიშნული ოპერაცია ხორციელდება მხოლოდ კომერციული შეხედულებებიდან გამომდინარე. ოპერაციის აღრიცხვის დროდ მიიჩნევა რეალური დრო, ან ხდება იმ მიახლოებული დროის შეფასება, როცა მოხდა საკუთრებაზე უფლების ცვლილება. ეს არის დრო, როდესაც მოხდა ფინანსური ოპერაციის რეგისტრაცია ბანკის ან საწარმოს საბუღალტრო ჩანაწერებში.

რაზე მიუთითებს ფინანსური ანგარიშის პოზიტიური, ან პირიქით - ნეგატიური განვითარება?ფინანსური ანგარიშის ბალანსის პოზიტიური განვითარება მიუთითებს აქტივების წმინდა ზრდაზე და/ან ვალდებულებების წმინდა შემცირებაზე. და პირიქით: უარყოფითი მიმართულებით განვითარება მიუთითებს ვალდებულებების წმინდა ზრდაზე და/ან აქტივების წმინდა შემცირებაზე.

პრინციპში, საგადასახდელო ბალანსის ანგარიშები უნდა ბალანსდებოდეს. ანუ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთი და იგივე ოპერაციის შესაბამისი თანხა ორ სხვადასხვა

ადგილას აისახება, საგადასახდელო ბალანსის საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერების სხვაობა ნულის ტოლი უნდა იყოს. თუმცა, პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება და სხვაობა ამ ჩანაწერებს შორის არსებობს. ამის მიზეზებია:

- ურთიერთშემხვედრი ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება დროის

სხვადასხვა პერიოდში. მაგალითად, საქონლის იმპორტი პირველ კვარტალში და შესაბამისი საფასურის გადახდა მეორე კვარტალში;

- განსხვავებული ინფორმაციული წყაროები ერთი და იმავე ოპერაციების ამსახველი საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერებისათვის;
- ინფორმაციის ნაკლებობა, ან ისეთი ოპერაციები, რომლებიც სტატისტიკური

დაკვირვების მიღმა ხორციელდება (მაგალითად, კონტრაბანდა), და ა. შ. ;

- სუბიექტური ფაქტორები, როგორიც შეიძლება იყოს სტატისტიკოსის სათანადო ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობა და სხვ. იმისათვის, რომ დაბალანსდეს შესაბამისი გატარებები, საგადასახდელო ბალანსში არსებობს სპეციალური მუხლი - „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“. რას უდრის იგი რაოდენობრივად?[1]

ზოგადად, საგადასახდელო ბალანსში საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერების სხვაობისა და „წმინდა შეცდომებისა და გამოტოვებების“ ჯამი ნულის ტოლია:

$(\Sigma C - \Sigma D) + NEO = 0,$

სადაც ΣC აღნიშნავს საკრედიტო ჩანაწერების ჯამს, ΣD სადებეტო ჩანაწერების ჯამია, ხოლო NEO – „წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, $NEO = -(\Sigma C - \Sigma D)$

(„წმინდა შეცდომები და გამოტოვებები“ უდრის საკრედიტო და სადებეტო ჩანაწერებს შორის სხვაობას, საპირისპირო ნიშნით.)

1.7 საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ზოგადი მიმოხილვა

სანამ საქართველოს საგადასახდელო ბალანსის უფრო დეტალურ ანალიზზე გადავალთ სასურველია პირველ რიგში მიმოვიხილოთ საგადასახდელო ბალანსის შემოკლებული

ვერსია ძირითადი კომპონენტებისა და პერიოდების მიხედვით. და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

2018 წელს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიმართ 7,7% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2017 წელს 8,7% იყო. მშპ-ის მიმართ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირება მნიშვნელოვანი დადებითი მოვლენაა, მაგრამ ცოტა უცნაურია, იმ ფონზე, როცა ქვეყანაში წარუმატებლობასაც კი წარმატებად ასაღებენ (მაგალითად, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩავარდნას), ეროვნული ბანკის გარდა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაზე თითქმის არავინ საუბრობს.

მიმდინარე ანგარიში დეფიციტურია, თუ საერთაშორისო ვაჭრობით, ფაქტორული შემოსავლებითა და ტრანსფერებით უფრო ნაკლები ფული შემოდის ქვეყანაში, ვიდრე ქვეყნიდან გადის. ამავე დროს მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა ეს ოპერაცია უცხოურ ვალუტაში ხორციელდება (სტატისტიკურად აშშ დოლარშია აღრიცხული).

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის ქვეყნისთვის პრობლემაა. პრობლემურობა დამოკიდებულია დეფიციტის სიდიდეზე (მშპ-ის მიმართ), იმაზე, თუ როგორ ფინანსდება დეფიციტი, ქვეყნის სავალუტო რეჟიმსა და ეკონომიკური განვითარების დონეზე. თუ დეფიციტი ძირითადად ინვესტიციებით ფინანსდება და არა ვალების აღებით, მაშინ ის პირიქით, კარგია და ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს. თუ დეფიციტი განპირობებულია იმპორტის ექსპორტზე მეტობით, ეს ეკონომიკის დაბალკონკურენტუნარიანობას მიანიშნებს, მაგრამ თუ განპირობებულია შიდა დანაზოგებზე ინვესტიციების მეტობით, პირიქით, მაღალპროდუქტიული, მზარდი ეკონომიკის მანიშნებელია. დეფიციტი პრობლემას არ წარმოადგენს საერთაშორისო ვალუტის მქონე ქვეყნებისთვის, მაგალითად, აშშ-სთვის, რადგან ამერიკელებს დეფიციტურად გადახდილი დოლარები სხვადასხვა სახით უკან უბრუნდებათ. შევხედოთ საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ტენდენციას ცხრილის გამოყენებით (იხ. ცხრილი №6).

ახლა კი დეტალურად განვიხილოთ საქართველოს საგადასახდელო ბალანსი, რომელიც ძალიან საინტერესო ანგარიშია და უამრავ ინფორმაციას მოიცავს. საგადასახდელო ბალანსი მიმდინარე ანგარიშის ჩვენებით იწყება, რომელიც ოთხი მუხლის ჯამია, ესენია: საქონლით საგარეო ვაჭრობა, მომსახურებით საგარეო ვაჭრობა, შემოსავლები და ტრანსფერები.

ყველაზე მაღალი უარყოფითი სალდო საქართველოს საქონლით საგარეო ვაჭრობაში აქვს, რადგან იმპორტი ექსპორტს დაახლოებით 2-ჯერ აჭარბებს. 2017 წელს საქონლით ვაჭრობის უარყოფითი სალდო 4,12 მილიარდი დოლარი იყო, აქედან ექსპორტის მოცულობამ 4,4 მილიარდი ხოლო იმპორტმა 8.5 მილიარდი) საქართველოს ტრადიციულად დადებითი სალდო აქვს მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავლებით არის განპირობებული. ეს ცალსახად ტურიზმიდან შემოსავლების მკვეთრმა მატებამ განაპირობა. ყველაზე მნიშვნელოვანი მატება მომსახურების მუხლმა 2017 წელს განიცადა (წინა წელთან შედარებით 447 მილიონით მეტი, რაც 28%-იან ზრდაში აისახა, ხოლო 2018 წელს 2017 თან შედარებით 220 მილიონიანი, შესაბამისად 10%). ფაქტორული შემოსავლების მუხლი საქართველოსთვის ტრადიციულად დეფიციტურია, რადგან საქართველოში მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი უცხოური კაპიტალი და კაპიტალზე მიღებული შემოსავლის (საინვესტიციო შემოსავალი) ნაწილი საქართველოდან გადის. 2018 წელს უარყოფითი სალდო 744 მილიონი დოლარი იყო (აქედან საინვესტიციო შემოსავალი -1,441 მლრდ დოლარი ხოლო შრომის ანაზღაურება 697 მილიონი დოლარი). პირველადი შემოსავლის ანგარიშის მაღალი დეფიციტის მთავარი მიზეზი საინვესტიციო შემოსავლის უარყოფითი ბალანსი რჩება, რომელიც 2018 წელს მცირედით, 7 მლნ აშშ დოლარით, გაუმჯობესდა შეადგინა. საინვესტიციო შემოსავლის დეფიციტის მაღალი დონე განპირობებულია პირდაპირი და სხვა უცხოური ინვესტიციების ნაწილში შემოსავლის ანგარიშის (როგორც გაცემული დივიდენდების ასევე რეინვესტიციების) ზრდით. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, უარყოფითად მოქმედებს მიმდინარე ანგარიშის ბალანსზე, ხოლო მეორე მხრივ, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებში აისახება; შედეგად, ამ ოპერაციას კაპიტალის გადინებაზე გავლენა არ აქვს. რაც შეეხება მუშაკთა შრომის ანაზღაურების ბალანსს, 2018 წელს ეს

კომპონენტი 75 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. შრომის ანაზღაურების მომატება გარკვეულწილად განპირობებულია ჩვენი რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებით. ტრადიციულად დადებითია ტრანსფერების მუხლი (მეორადი შემოსავლები), რადგან ის მოიცავს უცხოურ დახმარებებსა და მიგრანტების მიერ გადმოგზავნილ თანხებს. 2018 წელს დადებითი სალდო 1,19 მილიარდი დოლარი იყო, ხოლო 2017 წელს 1,04 მლრდ დოლარი. მონაცემებიდან გამომდინარედაც კარგად ჩანს თუ როგორი გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსთვის ტურიზმის სექტორს. როგორც გრაფიკიდან ჩანს, ტურისტული შემოსავლების წილი 2014 წლიდან მოყოლებული 2018 წლამდე, მუდმივად ზრდადი ტემპით ხასიათდებარაც გამოიხატება ტურიზმის წილის ოდენობით მშპ-ში. 2018 წელს ეს მაჩვენებელი იყო 19,9%, 2017 წელს 17,9%, ხოლო 2016 წელს 14,7% შეადგინა. ასევე მკვეთრად მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე მშპ ში და შეიძლება ითვას რომ უარყოფითი ტენდენციითაც ხასიათდება ბოლო პერიოდში(2017 წელი 12,1%, ხოლო 2018 7,7%).პირველადი შემოსავლის ანგარიშის დეფიციტი 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 81 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა, თუმცა კვლავ საკმაოდ მაღალია და 744 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (2014-2018 წწ) (ცხრილი № 6)[5]

	2014	2015	2016	2017	2018
მიმდინარე ანგარიში	**-1,784**	**-1,767**	**-1,890**	**-1,331**	**-1,249**
საქონელი	-4,286	-3,952	-3,883	-3,804	-4,112
ექსპორტი	3,995	3,021	2,865	3,570	4,407
იმპორტი	8,281	6,973	6,747	7,374	8,518
მომსახურება	1,306	1,404	1,577	2,024	2,244
კრედიტი	3,044	3,087	3,313	3,990	4,490
აქედან: ტურისტული შემოსავლები	1,787	1,868	2,111	2,704	3,222
დებეტი	1,738	1,683	1,736	1,966	2,246
პირველადი შემოსავალი (წმინდა)	-230	-338	-706	-825	-744
აქედან: საინვესტიციო შემოსავალი	-893	-827	-1,263	-1,447	-1,441
აქედან: შრომის აწაზღაურება	663	488	558	623	697
მეორადი შემოსავალი (წმინდა)	1,425	1,120	1,121	1,274	1,361
აქედან: სახელმწიფო სექტორი	159	193	232	233	171
აქედან: დაწარჩენი სექტორები	1,266	927	889	1,040	1,190
კაპიტალის ანგარიში	**106**	**58**	**56**	**108**	**76**
ფინანსური ანგარიში	**-1,790**	**-1,766**	**-1,754**	**-1,288**	**-1,222**
პირდაპირი ინვესტიციები (წმინდა)	-1,411	-1,343	-1,159	-1,625	-892
აქედან: პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში	1,818	1,659	1,571	1,830	1,184
პორტფელის ინვესტიცია (წმინდა)	-209	154	-41	77	28
ფინანსური წარმოებულები (გარდა რეზერვებისა) და თანამშრომელთა ოფციონები აქციებზე	-8	2	2	0	1
სხვა ინვესტიციები (წმინდა)	-128	-479	-803	17	-639
აქედან: სახელმწიფო სექტორი	-221	-276	-276	-432	-351
აქედან: კერძო სექტორი	93	-202	-527	449	-288
სარეზერვო აქტივები	-33	-99	245	242	279
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	**-112**	**-58**	**80**	**-65**	**-49**
მნიშვნელოვანი კოეფიციენტები					
სარეზერვო აქტივები მომავალი წლის იმპორტის თვეებში (თვე)	3.7	3.6	3.5	3.6	3.5
ექსპორტი/იმპორტი (საქონელი და მომსახურება)	-70%	-71%	-73%	-81%	-83%
მიმდინარე ანგარიში / მშპ	-10.8%	-12.6%	-13.1%	-8.8%	-7.7%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/მშპ	11.0%	11.9%	10.9%	12.1%	7.3%
ტურისტული შემოსავლები/მშპ	10.8%	13.4%	14.7%	17.9%	19.9%
პირადი გზავნილები/მშპ	10.8%	9.2%	8.9%	10.2%	10.8%

უარყოფითი სავაჭრო სალდო, პირველ რიგში, იმით არის გამოწვეული, რომ საქართველოში ადგილობრივი წარმოება არ არის მნიშვნელოვნად განვითარებული, რის გამოც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალი შეზღუდულია. შესაბამისად, საქართველო

[5] https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf

ძირითადად მომხარებელი ქვეყანაა და უწევს პროდუქციის დიდი ნაწილის იმპორტირება. ეს კი თვის მხრივ უარყოფით ზეგავლენას ახდენს სავაჭრო სალდოზე.

2.საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ძირითადი მახასიათებლები და უარყოფითი ტენდენციები

2.1 საქართველოს ექსპორტის ძირითადი კომპონენტები

საქართველო მცირე ეკონომიკის მქონე, სტრატეგიულ სავაჭრო გზებზე მდებარე ქვეყანაა, რაც ნიშნავს, რომ მისი განვითარებისთვის გახსნილობა აუცილებელი პირობაა. რამდენად ღიაა ეკონომიკურად ქვეყანა, პირველ რიგში, ეს საგარეო ვაჭრობის მოცულობაში გამოიხატება. საგარეო ვაჭრობაში ვგულისხმობთ მხოლოდ საქონლით საგარეო ვაჭრობას. ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობას ზრდის ტენდენცია აქვს [6]. 2018 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 12. 4 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც საქართველოს ეკონომიკის (მშპ-ის) დაახლოებით 30%-ია. აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო ჯერჯერობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება მაღალგანვითარებული, შედარებით პატარა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს. ჰონკონგის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ქვეყნის მშპ-ის მიმართ 346%-ია, სინგაპურის – 221%, სლოვაკეთის – 171%, ბელგიის – 170%, ჩეხეთის – 161% და ა. შ.

უარყოფითი სავაჭრო ბალანსი საქართველოს წინაშე დღეს არსებული მწვავე პრობლემის – ლარის გაუფასურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. აქედან გამომდინარე, პოპულარული გახდა აზრი იმპორტის ხელოვნურად შემცირების შესახებ, რაც მცდარი მიდგომაა. პრობლემა ის კი არ არის, რომ იმპორტი 2 ჯერ აღემატება ექსპორტს არამედ, პრობლემა ისაა, რომ ექსპორტი არის მცირე – მშპ-ის 15%. იმპორტის ხელოვნურად შემცირება (მაგალითად, იმპორტირებულ პროდუქციაზე გადასახადების ზრდით) ნიშნავს,

[6] (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba n.d.)

რომ ფასის მატებით, მომხმარებელს ვაიძულებთ, ნაკლები იმპორტირებული პროდუქცია შეიძინოს, რაც მოქალაქეების ეკონომიკურ მდგომარეობას გააუარესებს. ქვეყნის ეკონომიკის მიმართ იმპორტის 52% რომ ეკონომიკური პრობლემების სათავე არ არის, ამას მოწმობს თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები. ესტონეთში იმპორტი ქვეყნის მშპ-ის 85%-ია, ლიტვაში – 79%, ლატვიაში – 63%.

ზოგადად, რაც მეტია მშპ-ის მიმართ იმპორტი და ექსპორტი, მით მაღალია ქვეყნის ეკონომიკაში სპეციალიზაციის დონე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ეფექტიანად იყენებს საწარმოო რესურსებს.

საქართველოს უარყოფითი ბალანსის შემცირება ექსპორტის ზრდით უნდა მოხდეს, ეს კი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზეა დამოკიდებული. დღეს საქართველოს მესამე სამყაროს ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ექსპორტი აქვს: ფაქტობრივად, გაგვაქვს მხოლოდ ბუნებრივი რესურსები და სოფლის მეურნეობის ნაწარმი. ანუ გაგვაქვს მხოლოდ ის, რაც ჩვენს ტერიტორიაზე მოიპოვება ან რასაც ჩვენი კლიმატი განაპირობებს. საქართველოდან უმნიშვნელო რაოდენობით გადის ის არასასოფლო-სამეურნეო მზა პროდუქცია, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა ქვეყნების წარმოებას. ამ ყოველივეს გამომწვევ ძირითად ფაქტორებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ არ გვაქვს ცოდნა, როგორ ვაწარმოოთ. არ გვყავს კადრები, ვისაც შეუძლია, აწარმოოს.

ექსპორტის მეტი დივერსიფიკაციის მიღწევა შესაძლებელია მეტი საექსპორტო ბაზრის მოცვითაც. ამ მხრივ, მეტი მუშაობა შეიძლება ევროკავშირის ბაზარზე. აქვე მნიშვნელოვანია შევაფასოთ, თუ რამდენად სწორია საქართველოს გეოგრაფიული ორიენტაცია - რამდენად ვზრდით ჩვენს ექსპორტს იმ ბაზრებზე, სადაც მეტი ეკონომიკური შესაძლებლობებია (ე.წ. მზარდ ბაზრებზე).

გეოგრაფიული ორიენტაციის თვალსაზრისით ბოლო 5 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ტენდენცია არ გამოკვეთილა იმ ბაზრებზე ორიენტაციის კუთხით, სადაც იმპორტის და, შესაბამისად, ბაზრის ზრდის მეტი შესაძლებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ კორელაცია ნახაზში გამოსახულ ორ ცვლადს შორის დადებითია, ის მაინც მცირეა

საიმისოდ, რომ რაიმე ტენდენციაზე ვისაუბროთ. ასევე იკვეთება, რომ ის ბაზრები, სადაც ქართული პროდუქცია დიდწილად გაედინება, არ გამოირჩეოდა იმპორტის მკვეთრი ზრდით ბოლო წლებში. ამდენად, საქართველოს ექსპორტს სჭირდება უფრო მეტად მზარდ ბაზრებზე ორიენტაცია.

საქართველოს ექსპორტის მოცულობას გააჩნია გარკვეული ტენდენციები,რის გარკვევაშიც აუცილებელია შევხედოთ იმ სასაქონლო პროდუქციებს, რომლებსაც ქვეყანა ყველაზე დიდი ოდენობით აწარმოებს ან გააქვს სხვა ქვეყნებში რეექსპორტის გზით. ადგილობრივი წარმოებიდან გამოსარჩევია ფეროშენადნობი ასევე ღვინისა და გაზიანი სასმელების ექსპორტი.ხოლო რეექსპორტის მუხელბიდან პირველ რიგში აღსანიშნავია სპილენძის მადნები, ამის შემდგომ კი მანქანები, რომლებიც რეექსპორტით გადის მეზობელ ქვეყნებში.საკითხის უფრო სიღრმისეულად გასაანალიზებლად მოვიყვანოთ ოფიციალური მონაცემები ექსპორტთან მიმართებაში , თუ რაპროდუქციის წილი ჭარბობს საქართველოს ექსპორტის მთლიანდ მოცულობაში.

2018 წლის მონაცემებით საქართველოს ექსპორტში პირველ ადგილს იკავებს [6] (514 მლნ დოლარით) სპილენძის მადნები და კონცენტრატები , რაც რეალურად რეექსპორტია. ასევე რეექსპორტად შეგვიძლია ჩავთვალოთ მესამე (408 მლნ დოლარით) ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტი და მეექვსე ადგილზე (147 მლნ დოლარით) მყოფი

სამკურნალო საშუალებების ექსპორტი.ადგილობრივი წარმოების პროდუქტებიდან პირველი ადგილი ფეროშენადნოების ექსპორტს უჭირავს 345 მლნ დოლარით. შემდეგ მოდის ღვინო 192 მლნ დოლარით და წყლები, მინერალური და გაზიანი 109 მლნ. (იხ. გრაფიკი №1)

ქვექნების ჯგუფების წილი მთლიან ექსპორტში 2019* წლის იანვარ-თებერვალში (გრაფიკი № 1)



*წინასწარი მონაცემები

2018 წელს ყველაზე მეტი შემოსავალი საქართველომ აზერბაიჯანში ექსპორტირებული პროდუქციისგან მიიღო – 502 მლნ დოლარი, რაც 230 მლნ დოლარით მეტია 2017 წელს მიღებულ შემოსავალზე. მეორე ადგილზე რუსეთია 437 მლნ დოლარით, მესამეზე – სომხეთი 277 მლნ დოლარით. ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი შემოსავალი ბულგარეთიდან მივიღეთ – 258 მლნ დოლარი. ევროკავშირის 28 ქვეყანაში ჯამურად 730 მლნ დოლარის ქართული პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა, რაც 75 მილიონით აღემატება 2017 წლის მონაცემებს და მკვეთრად მეტია რუსეთის მაჩვენებელზე. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია თურქეთი და ჩინეთი, სადაც 2018 წელს საქართველოდან, შესაბამისად, 231 და 198 მლნ დოლარის პროდუქცია შევიდა. [2] (იხ. გრაფიკი №2)

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნების წილი მთლიან ექსპორტში 2018 წელი (გრაფიკი № 2)



2.2 ექსპორტი უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით

გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ექსპორტის მთლიან მოცულობაში უდიდეს ადგილს იკავებს ღვინის ექსპორტი ისევე როგორც მეტალურგიული წარმოების ნახევარპროდუქტები და სპილენძის მადნები. [6] (იხ. გრაფიკები №3, 4)

განსხვავებით ბუნებრივი რესურსისა რომელიც ქვეყანას გააჩნია, აღსანიშნავია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის მნიშვნელოვანი წილი, მიუხედავად იმ ფაქტისა რომ აღნიშნული ავტომობილების წარმოება არა უშუალოდ საქართველოში არამედ უცხოეთსი ხდება და ჩვენი ქვეყნის გავლით ხდება მისი რეექსპორტი. მისი მოცულობა მთლიან ექსპორტში 12.2 პროცენტიანი წილით, წინა წელთან შედარებით 74.1 პროცენტით გაიზარდა[6] (იხ. გრაფიკი №5). აღსანიშნავია, რომ 2018 წელს გაიზარდა სიგარეტებისა და სიგარილების (251. 4 პროცენტი) და დაფასოებული სამკურნალო საშუალებების (4.7 პროცენტი) ექსპორტის მოცულობები, რომელთა უმეტეს ნაწილს რეექსპორტი შეადგენდა.

ფეროშენადნობის ექსპორტი (2008-2018წწ). (გრაფიკი № 3) [7]



სპილენძის მადნების ექსპორტი (2008-2018*წწ) (გრაფიკი № 4) [7]



ცუდი მოსავლის გამო, კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა ერთ-ერთი უმსხვილესი საექსპორტო საქონლის - თხილისა და კაკლის ექსპორტი (-16.2 პროცენტი). წამყვან პოზიციებს ინარჩუნებდა სპირტიანი სასმელებისა და მინერალური სასუქების ექსპორტი.

[7] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

მთლიანობაში 2018 წელს, ექსპორტის 23 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა, ხოლო რეექსპორტის გარეშე ზრდა 11 პროცენტი იყო.

მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი (2008-2018*წწ) (გრაფიკი № 5) [7]



2018 წლის იანვრის მდგომარეობით დეფიციტური საგადასახდელო ბალანსი გააჩნია სომხეთს (-225 მლნ აშშ დოლარი) [8]ამისგან განსხვავებით სავაჭრო სალდო პროფიციტურია აზერბაიჯანს (621 მლნ აშშ დოლარი). ასევე ტრადიციულად დადებითი სალდო გააჩნია რუსეთს (15.32 მლრდ აშშ დოლარი) რაც პირველ რიგში ექსპორტის მაღალ მაჩვენებელს უკავშირდება. ხოლო საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2018 წლის აპრილის მონაცემებით -479.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

2.3 ექსპორტის ხელშეწყობა

ექსპორტის წახალისება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული. თუმცა საქართველოს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში შედარებითი უპირატესობა არც თუ ბევრ დარგში აქვს. ამასთან, არ არის ათვისებული ის დარგებიც, რომელთაც საექსპორტო პოტენციალი რისი წარმოების პოტენციალიც გვაქვს, ისიც არ არის

[8] https://tradingeconomics.com/armenia/balance-of-trade,
https://tradingeconomics.com/georgia/balance-of-trade,
https://tradingeconomics.com/azerbaijan/current-account

ჯერჯერობით ათვისებული. ეს ეხება სოფლის მეურნეობას. ბევრი ისეთი პროდუქციის იმპორტი ხდება, რომელიც შეძლება ადგილზე იყოს წარმოებული. ადგილობრივი წარმოების გაზრდით იმპორტის მოცულობა შემცირდებოდა. სოფლის მეურნეობაში დაკავებულია ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, მაშინ, როცა მთლიან შიგა პროდუქტში სოფლის მეურნეობის სექტორი ნადირობასა და მეთევზეობასთან ერთად 9 პროცენტამდე ქმნის''.

2.4 საქართველოს იმპორტის ძირითადი შემადგენელი ნაწილები

2018 წლის მონაცემებით საქართველოს იმპორტში პირველ ადგილზე (863 მლნ დოლარით) ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. მეორე ადგილზე (603 მლნ დოლარით) მსუბუქი ავტომობილების იმპორტია, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი რეექსპორტზე გადის. მესამე ადგილზე (396 მლნ დოლარით) ბუნებრივი და სხვა აირების იმპორტია. (იხ. გრაფიკი №6)

უმსხვილესი საიმპორტო საქონლის წილი მთლიან იმპორტში 2019 წლის იანვარ-თებერვალში (გრაფიკი №6)*



2018 წელს საქართველოში ყველაზე მეტი ღირებულების პროდუქცია თურქეთიდან შემოვიდა – 1,472 მლნ დოლარის. მეორე ადგილზე რუსეთია 935 მლნ დოლარით, მესამეზე – ჩინეთი 833 მლნ დოლარით, მეოთხეზე – აზერბაიჯანი 586 მლნ დოლარით.

ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტი იმპორტი გერმანიიდან განხორციელდა – 430 მლნ დოლარის. ევროკავშირის 28 ქვეყნიდან ჯამურად 2.6 მილიარდი დოლარის (მთლიანი იმპორტის 29%) იმპორტი განხორციელდა, რაც 2.8-ჯერ აღემატება იმავე პერიოდში რუსეთიდან შემოსული პროდუქციის ღირებულებას. სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია უკრაინა და აშშ, საიდანაც 2018 წელს საქართველოში 515 და 359 მლნ დოლარის პროდუქცია შემოვიდა. (იხ. გრაფიკი №7)

ქვეყნების ჯგუფების წილი მთლიან იმპორტში 2018 წელი (გრაფიკი № 7)



როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებამ მოახდინა. მომსახურების პროფიციტის ფარდობამ მშპ-თან 13. 8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 0.4 პროცენტული პუნქტით აღემატება. აბსოლუტურ გამოსახულებაში, მომსახურების დადებითი სალდო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 220 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 2.24 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ზრდა, უმეტესწილად, კვლავ ტურისტული შემოდინებების მაღალი მაჩვენებლით იყო გამოწვეული. ტურისტულმა შემოსავლებმა, რომელიც მომსახურების ექსპორტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს, 2018 წელს 3.22 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.1 პროცენტით აღემატება

2.5 იმპორტი უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების მიხედვით

ასევე საინტერესო იქნება ვისაუბროთ იმ პროდუქციებზე რომელთ წილი მთლიან იმპორტში ყველაზე დიდია. ასეთებს კი პირველ რიგში ნავთობპროდუქტები შეადგენენ. (იხ გრაფიკი №8). ასევე იმპორტის დიდი წილი უკვე ნახსენებ მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე მოდის: (იხ გრაფიკი №9). საგარეო ვაჭრობის მიმართულებით საქართველოს სწორი პოლიტიკა აქვს არჩეული. ეს გამოიხატება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებსა და დაბალ საბაჟო გადასახადებში. ჩინეთთან თავისუფალ ვაჭრობაზე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ქართულ მილიონობით მომხმარებელს ექნება წვდომა – ფაქტობრივად, საბაჟო გადასახადის გადახდის გარეშე. ეკონომიკის სიმცირიდან და სტრატეგიული სავაჭრო მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი ჩვენს ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას.

ნავთობპროდუქტების იმპორტი (2008-2019წწ) (გრაფიკი № 8) [7]



მსუბუქი ავტომობილების იმპორტი (გრაფიკი № 9) [7]



ეს საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი შედარებითი უპირატესობა საგარეო ვაჭრობაში და საქართველო რეგიონის ძირითად სავაჭრო ცენტრად ვაქციოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომისტები, ფაქტობრივად, თანხმდებიან, რომ თავისუფალი ვაჭრობა უფრო მომგებიანია ქვეყნისთვის (რადგან იზრდება ეროვნული დანაზოგი, რაც ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა), ვიდრე პროტექციონისტური ვაჭრობა, პოლიტიკოსების მხრიდან (საქართველოშიც და მის გარეთაც, მაგალითად, ტრამპის დაპირებები ვაჭრობის შეზღუდვის თაობაზე) უცხოური პროდუქციის შემოსვლის შეზღუდვასთან დაკავშირებით დაპირებები პოპულარულია. ეს ცალსახად პოპულისტური დაპირებებია, რომლებიც გათვლილია მოსახლეობის ემოციებსა და ლობისტური ჯგუფების გულის მოგებაზე. საქართველომ არ უნდა გადაუხვიოს არჩეულ გზას და რაც შეიძლება მეტად უნდა გააფართოოს საქართველოს თავისუფალი სავაჭრო სივრცე.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ დღეს ჩვენ ევროკავშირში 1. 6-ჯერ მეტი პროდუქცია გაგვაქვს [9], ვიდრე რუსეთში და ევროკავშირიდან 2. 6-ჯერ მეტი პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე რუსეთიდან. ეს ნიშნავს, რომ დღეს ჩვენ ევროპაზე უფრო მეტად ვართ დამოკიდებული, ვიდრე რუსეთზე, ევროპასთან ვაჭრობით მეტ სარგებელს ვნახულობთ, ვიდრე რუსეთთან. შესაბამისად, ევროპის ბაზრის დაკარგვა სამჯერ უფრო მეტად დაგვაზარალებს, ვიდრე რუსული ბაზრის დაკარგვა, თუ ამ ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთის არჩევის წინაშე დავდგებით.

2.6 ტრანსფერების გავლენა საგადასახდელო ბალანსზე.

როგორც ვიცით საგადასახდელო ბალანსის დეფიციტურობის უმთავრეს მიზეზი ექსპორტ-იმპორტის დისპროპორციის გარდა სწორედ ტრანსფერების გადაჭარბებული რაოდენობა. ფულადი გზავნილების დიდი ოდენობა სწორედ საგადასახდელო ბალანსის უაყოფით ბალანსის წინაპირობაა. სწორედ ამიტომ უმჯობესი იქნება განვიხილოთ ფულადი გზავნილების არსი და მისი დადებითი-უარყოფითი მახასიათებლები.

2.6.1 ფულადი გზავნილების არსი

საერთაშორისო ფულადი გზავნილები ის პირადი თანხებია, რომლებსაც მიგრანტები თავიანთ სამშობლოში მცხოვრებ ოჯახებსა და მეგობრებს უგზავნიან. მსოფლიოს მასშტაბით 215 მილიონი ადამიანი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. 2008 წელს, მიგრანტების ფულად მაგზავნილებმა ყველა განვითარებადი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2% და დაბალშემოსავლიანი ქვეყნის მშპ-ის 6% შეადგინა. საერთოდ, 2000 წლიდან ფულადი გზავნილების რაოდენობა განუხრელად იზრდება. მათი მოცულობა თითქმის უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობას უტოლდება და ორჯერ და მეტად აღემატება განვითარებადი ქვეყნების მიერ მიღე ბულ უცხოურ დახმარებას. განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილები ღარიბი მოსახლეობის ერთადერთი საარსებო წყაროა და

[9] (http://forbes.ge/news/1911/saqarTvelo-cudi-vaWaria თ. გ.

სიღარიბის დონესა და სიმძიმეს ამცირებს. პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებში, მიგრაცია გადარჩენის სტრატეგიაა. და საქმების შესაძლებლობების ნაკლებობა ხალხს სხვა ქვეყნებში სამუშაოს ძიებისკენ უბიძგებს. რუსეთი და ყაზახეთი კი, პოსტსაბჭოთა სივრცეში, დანიშნულების მთავარი პუნქტებია, ვინაიდან ამ ქვეყნების შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალია რეგიონში.

ფულადი გზავნილები საქართველოს ეკონომიკაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვინაიდან ბევრი ქართველი ქვეყნიდან არის გასული. მათი უმრავლესობა რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, აშშ - ში, საბერძნეთ ში, იტალიაში, ესპანეთსა და თურქეთში ცხოვრობს. ადამიანების გადაადგილების თავისუფლება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა. ფულადი გზავნილები პირდაპირ გავლენას ახდენს საქართვე ლოს ეკონომიკაზე, მაგალითად, ეროვნულ რეზერვებზე; გარდა ამისა, ქვეყანაში თითქმის ყოველი ათი ადამიანიდან ერთის შემოსავლის წყაროა. 2018 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში შემოსულმა ფულამა გზავნილებმა 812, 6 მილიონ აშშ დოლარს მიაღ წია, რაც 19. 6%-იანია ზრდაა წინა წლის იმავე პერიოდ თან შედარებით და ქვეყნის მშპ-ის 6%-ს შეადგენს .

უხეში გათვლებით, მოსახლეობის 9% ფულადი გზავნილების მიმღებია. ფინანსური ინსტიტუტების წმინდა შემოსავლის 20% ფულადი გზავნილების მომსახურების გადასახადებზე მოდის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტიტუტებს ძალიან დიდ არა ფორმალურ სექტორთან, ანუ მეგობრების, ნათესავებისა და სხვების მეშვეობით ფულადი გზავნილების გამოგზავნას თან (სავარაუდოდ, მთელი გზავნილების ერთი მესამედი) უწევს კონკურენცია.როგორც აღვნიშნეთ, რუსეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მიგრანტთა დანიშნულების ნომერი პირველი პუნქტია და მსოფლიოში მეორე ქვეყანაა, აშშ-ის შემდეგ. საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობით. 2017 წლის მონაცემების თანახმად [10] საზღვარგარეთ 840 ათასი ქართველი მიგრანტი ცხოვრობს, მათ შორის 450 000-მდე რუსეთში, 80 ათასი -საბერძნეთში, 70 ათასი -უკრაინაში. რუსეთიდან ფულადი გზავნილების მაჩვენებელი რამოდენიმეჯერ გაზრდილი. ამჟამად საქართველოში

[10] https://1tv.ge/news/amerikis-khma-yvelaze-meti-qartveli-emigranti-rusetshi-ckhovrobs/

ყველა ფულადი გზავნილის ყველაზე მეტი წილი რუსეთიდან შემოდის, რომელსაც მოსდევს საბერძნეთი და იტალია (იხ. გრაფიკი №10).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის ვარაუდით, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა მილიონს აჭარბებს გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, განვითარებად ქვეყნებში ფულადი გზავნილების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 2009 წლიდან მათი მცირედი კლება საქართველოშიც შეინიშნებოდა;თუმცა, ეს დროებითი მოვლენა აღმოჩნდა და ფულადი გზავნილების მოცულობა ახლა კვლავ იზრდება.

ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (2014-2018წწ) (გრაფიკი № 10)



როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოში ფულადი გზავნილებს მზარდი ტენდენცია გააჩნია ამ ყოველივეს კარგად გასააზრებლად უმჯობესია მოვიყვანოთ გრაფიკული ილუსტრაცია თუ როგორ იცხვლებოდა ფულადი გზავნილები 2014 წლიდან 2018 წლამდე[11]. (იხ. გრაფიკი №11).

[11] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

ფულადი გზავნილების დინამიკა (2014-2018წწ) (გრაფიკი № 11)



ზოგ ეკონომისტს მიაჩნია, რომ ფულადი გზავნილები ეკონომიკური შოკის მატარებელი შეიძლება იყოს, თუმცა არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ეკონომიკური რეცესიის დროს ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან დახმარებას და ფინანსურ წყაროს წარმოადგენს თუმცა, ევროზონის მიმდინარე კრიზისის გათვალისწინებით, მოსალოდნელია ფულადი გზავნილების შემცირება იმ განვითარებად ქვეყნებში, რომელთა მოქალაქეებიც კრიზისში მყოფ ევროპულ ქვეყნებში ცხოვრობენ. ამის საფრთხე საქართველოს წინაშეც დგას, რომელიც ფულადი გზავნილების მნიშვნელოვან ნაწილს საბერძნეთიდან და იტალიიდან იღებს. 2011 წლის მესამე კვარტლის მონაცემები ჯერ ამ ტენდენციას არ აჩვენებს. მცირედი კლება აღინიშნება ფულად გზავნილებში ესპანეთიდან, თურქეთიდან, უკრაინასა და რუსეთის ფედერაციიდან. თუმცა, მეოთხე კვარტალში, სეზონური დღესასწაულების დადგომასთან ერთად, მონაცემები შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს, ანუ, ზრდა არის მოსალოდნელი. წარმოების კლება რუსეთში მიგრანტების ფულად გზავნილებსაც ატყობს კვალს; რუსეთიდან ფულადი გზავნილების შემცირებამ უკვე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მიმღები ქვეყნების ეკონომიკების განვითარებაზე.

ამრიგად, ფულად გზავნილებს შეიძლება შევხედოთ, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანს მიმღები ქვეყნების განვითარებისთვის. მიგრანტთა ფულადი გზავნილები უცხოური ვალუტის მნიშვნელოვანი წყაროა, რაც ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს,

შეიძინონ სასიცოცხლო საიმ- პორტო საქონელი ან გადაიხადონ საგარეო ვალები. ამავე დროს, დონორი ეკონომიკები ძალზე მგრძნობიარენი არიან საგარეო შოკების მიმართ, უცხოეთიდან ფულადი გზავნილები კი ამ სა- გარეო შოკებისგან დამცავი ბუფერის ფუნქციას ასრულებს. ძალზე მნიშვნელოვანია ფულადი გზავნილების ზეგავლენისა და მნიშვნელობის გააზრება და გზავნილების მართვის უფრო ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების გზების ძიება. ფულადი გზავნილების სწორად მართვას იმისათვის, რომ ისინი პოტენციური ზრდის შესაძლებლობად იქცეს.

2.6.2 ფულადი გზავნილების დადებითი და უარყოფითი ასპექტები

ფულადი გზავნილების წვლილი ეკონომიკებში შთამბეჭდავია. პოსტ-საბჭოთა რესპუბლი- კების უმეტესობა ძალზე დამოკიდებულია ფულად გზავნილებზე, რომელთა მოცულობაც მშპ-ის 25%-ს აღემატება. ერთი მხრივ, ფულად გზავნილებს ეკონომიკის ცალკეული სექტორების სტიმულირების, ინვესტიციების და წარმოების გაზრდის პოტენციალი აქვს. მეორე მხრივ, მათ შეიძლება ინფლაცია გამოიწვიონ, ვინაიდან ხალხის გაზრდილი მსყიდველობითი უნარი ფასების მატებას და ადგილობრივი პროდუქციის იმპორტით ჩანაცვლებას უწყობს ხელს. ფულადი გზავნილების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს: ზოგი ანალიტიკოსი მთავრობას და დონორებს ურჩევს არ შეაფერხოს მიგრაცია და ფულადი გზავნილები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ფულადი გზავნილების ზოგი დადებითი და უარყოფითი ასპექტებია ნაჩვენები[12]. (იხ. ცხრილი №7)

[12] https://www.iom.int/

ფულადი გზავნილების დადებითი და უარყოფითი ასპექტები (ცხრილი № 7)

დადებითი:	უარყოფითი:
აფინანსებს საგარეო დეფიციტს	ამცირებს ზეწოლას მთავრობაზე, გაატაროს რეფორმები საგარეო დისბალანსის შესამცირებლად
დანაზოგის და ინვესტიციის პოტენციური წყაროა	ეკონომიკური შოკის მატარებელია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ფულად გზავნილებზე დამოკიდებულია
განათლებაში ინვესტირებას უწყობს ხელს	ამცირებს მიმღები ოჯახების მოტივაციას, იშოვნონ სამუშაო
მიმღებთა ცხოვრების სტანდარტს აუმჯობესებს, სიღარიბეს ამცირებს	უარყოფითად მოქმედებს ზრდასა და განვითარებაზე, ამცირებს მუშა ხელის რაოდენობას

შრომითი მიგრაციის ყველაზე თვალნათელი დადებითი ასპექტი მიგრანტთა შინამეურნეობების ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებაა, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებად ქვეყნებში ხარჯვის მოდელები შეიცვალა და დანახარჯები საკვებსა და ტანსაცმლიდან განათლებისა და ჯანდაცვისკენ გადადის. ეს ფაქტორები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში განათლებული და ჯანსაღი მუშახელის შექმნას თუმცა, ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებასთან ერთად, ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა უთანასწორობაც გაზარდოს და ის შინამეურნეობები, რომლებიც ფულად გზავნილებს არ იღებენ, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ზემოთ ნაჩვენები ცხრილის ქართულ რეალობაში გამოყენებისას, ყურადღება ფულადი გზავნილების შემოდინების რამდენიმე უარყოფით ეფექტზე უნდა გავამახვილოთ. ყველაზე თვალშისაცემი პრობლემა, რომელიც ფულად გზავნილებს მოაქვს, მიმღები ოჯახების მიერ სამუშაოს შოვნის მცდელობის შემცირებაა, ანუ, უმუშევარი ხალხი აღარ ეძებს სამუშაოს. ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება მუშაობის, ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მოტივაციას ანელებს, ვინაიდან ფულადი გზავნილების უდიდესი წილი მოხმარებაზე იხარჯება, ვიდრე ეკონომიკურ წარმოებაზე მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია და 2018 წელს 12.7% შეადგინა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 31% უმუშევარი რესპონდენტიდან მხოლოდ 5% არ არის დაინტერესებული, მოძებნოს სამუშაო.

ძნელია თქმა, დამოკიდებული არიან ეს ადამიანები ფულად გზავნილებზე თუ არა და ეს არის მათი სამუშაოს ძიებით დაუინტერესებლობის მიზეზი თუ არა.

ამავე დროს, ცნობილია, რომ ინფლაცია და უმუშევრობა ერთმანეთთან უკუქმედებით კავშირშია, ანუ, მაღალი უმუშევრობის დროს, ინფლაცია დაბალია, რადგან უმუშევრობის გამო მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მცირდება და შედეგად, მთლიანი მოთხოვნა და აქედან გამომდინარე, ინფლაციის დონეც კლებულობს.

უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღლია ქვეყანაში და მხოლოდ ოდნავი დადებითი ტენდენციები აღინიშნება ასევე მაღლია ინფლაციის დონე ამის ერთ ერთი მიზეზი ფულადი გზავნილების შემოდინება შეიძლება იყოს, რასაც შედეგად გადაჭარბებული მოხმარება და იმპორტზე დამოკიდებულება მოაქვს და ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრაციამ მუშახელის მიწოდება შეამცირა, უმუშევრობის დონე ქვეყანაში მაინც მაღალია. 2000-იანი წლების მეორე ნახევარში საჯარო სექტორში კადრების შემცირებას, ხელფასების ზრდა მოყვა, თუმცა შრომის პროდუქტიულობის გაუმჯობესება არ მოყოლია, რამაც ინფლაციური ზეწოლა გამოიწვია ეკონომიკაში.

ფულადი გზავნილების კიდევ ერთი უარყოფითი შედეგი შეიძლება ეკონომიკური არას- ტაბილურობა იყოს, ვინაიდან ისინი ვალუტის გამყარებას უწყობს ხელს და კონკურენცასზღუდავს. ამ ვარაუდის შესამოწმებლად, ქართული ლარის აშშ დოლართან გაცვლის ოფიციალური კურსი განვიხილოთ. ზოგადად, ცნობილია, რომ ინფლაციის დროს ეროვნული ვალუტები უფასურდება; ფულადმა გზავნილებმა, სავარაუდოდ, თავისი წვლილი ვალუტის სტაბილურობაშიც შეიტანა. მსხვილი ფულადი გზავნილები და უცხოურ ვალუტაში კაპიტალის ნაკადები ინფლაციის ფაქტორებს წარმოადგენს, ვინაიდან კაპიტალის ადგილობრივი განუვითარებელი ბაზრის პირობებში, ცენტრალურ ბანკს არ ძალუძს, სტერილიზაციის მსხვილი ინტერვენციები რეგულარულად განახორციელოს. ეს მძიმე დამატებითი ტვირთია მიგრანტების იმ შინამეურნეობებისთვის, რომლებიც მიღებულ დოლარებს იმავე რაოდენობის დაბალი მსყიდველობითი უნარის მქონე ლარებში ცვლიან. მეორე მხრივ, ფულადი გზავნილების უწყვეტი შემოდინების გამო, ვალუტის

გამყარების თავიდან აცილება შეიძლება რთული და ძვირი საქმე იყოს. მსხვილი ფულადი გზავნილების ზემოქმედება ვალუტის გაცვლის რეალურ კურსზე შეიძლება განეიტრალდეს საწარმოო სიმძლავრეების და კონკურენტულობის გაუმჯობესებით, რაც ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისა და ექსპორტისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის მეშვეობით არის შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის ზრდას ისეთივე ეფექტი აქვს ვალუტაზე (ანუ, ამყარებს ვალუტას), ეს ორი ზეწოლა განსხვავებული ხასიათისაა მარტივად თუ ვიტყვით, ექსპორტის გზით ვალუტის გამყარებას დეფლაციური ზეწოლა ანეიტრალებს.

გარდა ამისა, ემპირიული კვლევით დადგინდა, რომ ფულად გზავნილებსა და ვაჭრობის გაუარესებას შორის კორელაცია არსებობს - ფულადი გზავნილების, როგორც მშპ-ის წილის 10%-იანი ზრდა ექსპორტს 2%-ით, ანუ, მშპ-ის 4%-მდე ამცირებს14, რადგან ფულადი გზავნილების შემოდინება ეროვნული ვალუტის გამყარებას იწვევს, რაც თავის მხრივ ქართულ პროდუქციას აძვირებს უცხოურ ბაზარზე, ამგავარად ამცირებს ექსპორტს. საქართველოში, რომელსაც მუდმივად უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს (იხ. გრაფიკი №12), ფულადმა გზავნილებმა შესაძლოა მთავარი როლი ითამაშოს იმპორტის მოთხოვნის ზრდაში. როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, სავაჭრო ბალანსს მუდმივად მაღალი მაჩვენებელი გააჩნია. იმპორტის დიდ ზრდას აგრეგირებული მოხმარების მკვეთრი მატება იწვევს. ფულადი გზავნილები საქართველოს სავაჭრო დეფიციტის ნაწილს აფინანსებს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა (2014-2018წწ) (გრაფიკი № 12)



მოკლედ, საქართველო პატარა ქვეყანაა, საიდანაც მიგრანტთა დიდი ნაკადი გაედინება და ამავდროულად, უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადები შემოედინება. არაოფიციალური ფულადი გზავნილების მოცულობა დიდია და მთლიანი ფულადი გზავნილების დაახ- ლოებით 40%-ს შეადგენს. ფულად გზავნილებს ადგილობრივი მოთხოვნის მატებასთან, იმპორტის ზრასა და ექსპორტის კლებასთან მივყავართ. ძლიერი ზეგავლენა აღინიშნება კერძო მოხმარების, ადგილობრივი მოთხოვნის და მშპ-ის ზრდის ტემპებზე.

დადებით მხარეებს რაც შეეხება, ფულადი გზავნილები უფრო სტაბილურია, ვიდრე კერძო კაპიტალის ნაკადები, და შესაბამისად, ქვეყნის საგარეო დაფინანსების წყაროებსამრავალფეროვნებს. განსაკუთრებით, თუ მშობლიური ქვეყნის და მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკურ ციკლებს შორის შედარებით ნაკლები კორელაცია არსებობს, რაც ასეა საქართველოს შემთხვევაში. მომდევნო თავში ვისაუბრობთ იმაზე, რომ ფულადი გზავნილები, მათი სათანადო მართვისა და გამოყენების შემთხვევაში, ზრდისა და განვითარების წყაროდ შეიძლება იქცეს, რაც მათ ნეგატიურ ასპექტებს გაანეიტრალებს.

ფულად გზავნილებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შინამეურნეობათა მოხმარების სტაბილურობაში. ისინი საქართველოში სამუშაოს არმქონე ოჯახების სოციალური უზრუნველყოფის და შემოსავლის წყაროა. ამავე დროს, ფულადი გზავნილები არ უნდა განიხილებოდეს, როგორც განვითარების ხელშეწყობის ოფიციალური დახმარება. ასეთი გზავნილები დაბალშემოსავლიანი ქვეყნების განსაკურნავ წამალს არ წარმოადგენს. მიგრანტთა ფულადი გზავნილებით შესაძლებელია გადაუდებელი საბიუჯეტო შეზღუდვების შემსუბუქება სურსათზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე დანახარჯების გაზარდის გზით, მაგრამ ფულადი გზავნილების არაპროგნოზირებადობის გამო, მათი განხილვა, როგორც ადგილობრივი შემოსავლის ჩამნაცვლებლისა, არ შეიძლება.

ახლა როდესაც უკვე მიმოვიხილეთ საგადასახდელო ბალანსი არსი, სტრუქტურა, წარმოების პრინციპები და ასევე გავანალიზეთ ის უშუალო გამოწვევები, რაც საქართველოს საგადასახდელო ბალანსს გააჩნია დროაუფრო დაწვრილებით ვისაუბროთ იმ კონკრეტულ სფეროებზე, რომლის განვითარებაში ვხედავ როგორც ბალანსის ისე ეკონომიკური ინდიკატორების გაუმჯობესებას. რათქმაუნდა ჩასატარებელი ღონისძიებები საკმაოდ ფართოა თუმცა ყურადღებას გავამახვილებ 3 ძირითად მათგანზე, ესენია: ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ზრდა, ტურიზმის განვითარება და სოფლის მეურნეობის გაძლიერება. ამისათვის კი პირველ რიგში გავეცნოთ საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებს „საქართველო 2020“ მნიშვნელოვან ასპექტებს.

3. საქართველოს ეკონომიკის აქტუალური საკითხები და საგადასახდელო ბალანსი

3.1 ინოვაცია და ტექნოლოგიები

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის ეკონომიკის განვითრების გზებზე, აუცილებელია აღვნიშნოთ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების როლი ქვეყნის მდგრადი განვითრებისთვის. საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე

შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ არის მიბმული საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დაბალი დონე, რაც ამავე დროს განაპირობებს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ინოვაცია გულისხმობს ახალი იდეის არსებობას, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება შეიქმნას ახალი პროდუქტი, მომსახურება ან სისტემა. ინოვაცია ხშირად ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება, თუმცა ინოვაცია შეიძლება იყოს მართვის განსხვავებული სტილის დანერგვა, განსხვავებული ტიპის მომსახურების შეთავაზება და სხვა.

განასხვავებენ ინოვაციის რამოდენიმე სახეს: [13]

- „ინოვაციური პროდუქტი" - მოიცავს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების დანერგვას;
- „ინოვაციური პროცესი“ - მოიცავს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წარმოებისა და მიწოდების მეთოდების დანერგვას;
- „ინოვაციური მიწოდების ქსელი" - მოიცავს საწარმოო რესურსების პროდუქტებად გარდაქმნის და მომხმარებლისთვის მიწოდების ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ პროცესს;
- „ინოვაციური მარკეტინგი" - მოიცავს მარკეტინგის ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მეთოდების (პროდუქტის დიზაინი და შეფუთვა, გაყიდვების კამპანია, ფასდადება და სხვ.) დანერგვას.

ინოვაციების მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში უფრო და უფრო იზრდება. ინოვაცია კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, ჩამოიშოროს კონკურენტები, შექმნას ბაზარზე შესვლის ბარიერები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები. მნიშვნელოვანი ინოვაციის წყალობით, კომპანიამ შესაძლოა

[13] http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo

მოიპოვოს მონოპოლიური ძალაუფლებაც კი. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მოწინავე კომპანიები არ იშურებენ დროსა და ფინანსებს, კვლევის და განვითარების კომპონენტის გაძლიერებისთვის. თუმცა ინოვაციები მნიშვნელოვანია არამხოლოდ კომპანიებისთვის, რათა გაზარდონ საკუთარი მოგება, არამედ საზოგადოებისთვისაც. ინოვაციების არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვისაც, რადგან მეტი ინოვაცია ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ქვეყნებში არსებული ინოვაციების დონე ბოლო 9 წელია რაც გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) იზომება. რას მოიცავს გლობალური ინოვაციის ინდექსი? გლობალური ინოვაციის ინდექსი 7 კომპონენტისგან შედგება. ესენია:

- ინსტიტუტები (პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი გარემო, ბიზნეს გარემო);
- ადამიანური კაპიტალი და კვლევა (ზოგადი განათლება, უმაღლესი განათლება, კვლევა და განვითარება);
- ინფრასტრუქტურა (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, ზოდაგი ინფრასტრუქტურა, ეკოლოგიური მდგრადობა);
- ბაზრის განვითარების დონე (კრედიტები, ინვესტიციები, ვაჭრობა, კონკურენცია და ბაზრის მასშტაბი);
- ბიზნესის განვითარების დონე (დასაქმებულთა ცოდნის დონე, ინოვაციისათვის საჭირო კავშირების არსებობა, ცოდნის მიღების შესაძლებლობა);
- ცოდნა და ტექნოლოგიები (ცოდნის შექმნა, ცოდნის გავლენა ინოვაციების შექმნის პროცესში, ცოდნის გავრცელება);
- შემოქმედებითობა (არამატერიალური აქტივები, შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება, ელექტრონული შემოქმედებითობა).

საქართველოს ყველაზე კარგი შედეგები ინსტიტუციურ მოწყობაში აქვს (69. 2 ქულა), რაც აფასებს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას, მმართველობის ეფექტურობას, ბიზნეს გარემოსა და რეგულაციებს (იხ. სურათი 2). ყველაზე ცუდი მაჩვენებელები კი ადამიანურ კაპიტალსა და განათლებაზე მოდის. ამ კატეგორიაში ქვეყანამ მხოლოდ 23. 2 ქულა (100-დან) აიღო და რეიტინგში 91-ე პოზიცია დაიკავა. მსგავსი ვითარებაა კერძო სექტორის მხრიდან ინოვაციების წახალისების კომპონენტშიც: საქართველო 26. 5 ქულით 90-ე ადგილს დასჯერდა.

ვითარება გაუარესებულია უმეტესწილად იმ კომპონენტებში, სადაც საქართველოს ისედაც დაბალი მაჩვენებლები აქვს. ამის მაგალითია ბიზნეს განვითარებისა და ადამიანური კაპიტალის/კვლევის კომპონენტებში შემცირებული ქულები. გამონაკლისია შემოქმედებითი წარმოების ინდიკატორი, სადაც ქვეყანამ ქულა 1. 6-ით და პოზიცია 23-ით გააუმჯობესა. თუმცა, ზრდის მიუხედევად ამ კომპონენტში ქვეყანას მაინც მოკრძალებული შედეგი აქვს, რაც ძირითადად განპირობებულია ონლაინ პროდუქციის შექმნისა და კერძო სექტორის მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ნაკლებობით.

საქართველოს საშუალო მაჩვენებლები აქვს ბაზრის განვითარებისა (44.3 ქულა) და ინფრასტრუქტურის (41.7 ქულა) კრიტერიუმებში. საქართველოს ყველაზე კარგი შედეგები ინსტიტუციურ მოწყობაში აქვს (69.2 ქულა), რაც აფასებს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობას, მმართველობის ეფექტურობას, ბიზნეს გარემოსა და რეგულაციებს (იხ. სურათი 2). ყველაზე ცუდი მაჩვენებელები კი ადამიანურ კაპიტალსა და განათლებაზე მოდის. ამ კატეგორიაში ქვეყანამ მხოლოდ 23.2 ქულა (100-დან) აიღო და რეიტინგში 91-ე პოზიცია დაიკავა. მსგავსი ვითარებაა კერძო სექტორის მხრიდან ინოვაციების წახალისების კომპონენტშიც: საქართველო 26.5 ქულით 90-ე ადგილს დასჯერდა. (იხ. გრაფიკი №13)[14]

ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და

[14] https://idfi.ge/ge/georgia-in-innovations-global-index

რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში (GII 2016) საქართველო მსოფლიოში 64-ე ადგილზეა, ხოლო 2015 წლის ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსში (ICI) 131 ქვეყანას შორის 72-ე ადგილი უკავია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში (GCI) 2013-2014 წლების მდგომარეობით, საქართველო 148 ქვეყანას შორის შემდეგ პოზიციებს იკავებს:

ინოვაციების გლობალური ინდექსი (გრაფიკი № 13)



- ინოვაციის განხორციელების შესაძლებლობების მაჩვენებელი - 118-ე ადგილი;
- კომპანიების დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე (R&D) - 128-ე ადგილი. დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარების დონე. ამავე ინდექსის მიხედვით, საქართველოს შემდეგი მაჩვენებლები აქვს:
- უახლესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა - მე-100 ადგილი;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა კომპანიების მიერ - 117-ე ადგილი.

არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. საქართველო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტით 124-ე ადგილზეა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად არაერთი ღონისძიება გატარდა, მოსახლეობის მიერ ამ საშუალების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (2015-2016) საქართველო შედარებით უკეთეს, თუმცა, კვლავ არასახარბიელო პოზიციაზეა:

- მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენება - 71-ე ადგილი;
- 100 მოსახლეზე მაღალსიჩქარიანი მონაცემთა გაცვლის ქსელზე

ხელმისაწვდომობა - 65-ე ადგილი. ქსელური მზადყოფნის ინდექსის (Networked Readiness Index -NRI) მიხედვით 2016 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა.

თუ გლობალური ინოვაციის ინდექსის კომპონენტებს წლების მიხედვით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ 2013 წლიდან მოყოლებული საქართველოს ქულა მზარდი დინამიკით ხასიათდება ადამიანური კაპიტალისა და კვლევის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად დადებითი ტენდენციისა, აღნიშნულ კომპონენტში საქართველოს დაბალი შედეგი აქვს. ქვეყანას სტაბილურად მაღალი შედეგი აქვს ინსტიტუტების კომპონენტში, ხოლო ყველაზე დიდი მერყეობით ბაზრის განვითარების კომპონენტი გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის მონაცემებით, ბაზრის განვითარების კომპონენტის ქულა უმაღლესია სხვა დანარჩენ კომპონენტებს შორის, აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო 2015 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეიტინგი 2016 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ვინაიდან, ქვეყანას დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, რაც გრძელვადიან პერიოდში ინოვაციური განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს. კერძოდ კი ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ასევე, ცოდნისა და ტექნოლოგიების კომპონენტებში. (იხ. გრაფიკი №14)[13]

"GII" ინდექსის შემადგენელი კომპონენტების დინამიკა საქართველოსთვის (გრაფიკი № 14)



3.1.1 საქართველოსა და რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის შედეგების შედარება

"GII" ინდექსის მიხედვით, პოსტსაბჭოთა 15 ქვეყანას შორის საქართველოს მერვე ადგილი უკავია. ბალტიის სამ ქვეყანასთან ერთად, უკეთესი შედეგები აქვთ რუსეთს, მოლდოვას, უკრაინასა და სომხეთს (იხ. გრაფიკი №15).

თუმცა, ინოვაციური ეფექტურობის კოეფიციენტის თვალსაზრისით, ამ ქვეყნებიდან საქართველოს ლიტვასა და რუსეთზე უკეთესი შედეგი აქვს. ამ კომპონენტში საუკეთესო შედეგები აჩვენეს მოლდოვამ და ესტონეთმა, რაც მიანიშნებს ამ ქვეყნებში ინოვაციებისთვის გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულ და ეფექტურ ხარჯვაზე.

ინსტიტუციური ჩარჩოს (რაც მოიცავს მმართველობის ეფექტურობასა და რეგულაციებს) და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საქართველო მხოლოდ ბალტიის ქვეყნებს ჩამორჩება. ბაზრის განვითარების ხარისხით კი, მხოლოდ რუსეთსადაუკრაინასსჯობნის.

დანარჩენ კომპონენტებში (ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება, შემოქმედებითი წარმოება, ადამიანური კაპიტალი/კვლევა და ბიზნესის განვითარება) საქართველო რეიტინგში მასზე წინ მდგომი შვიდივე პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაჩვენებლებს ჩამორჩება. გამონაკლისია მხოლოდ ადამიანური კაპიტალისა და კვლევის კატეგორია, რომელშიც სომხეთს საქართველოზე დაბალი შედეგი აქვს.

საქართველოს და მისი წინმსწრები 7 პოსტსაბჭოთა ქვეყნის ინოვაციების გლობალური ინდექსის შედეგების შედარება (გრაფიკი № 15)



შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოს ესაჭიროება კვლევებისა და ინოვაციების წახალისება, განათლებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, კერძო სექტორის გააქტიურება ინოვაციების გამოყენებაში, დანერგვასა და შექმნაში, და ინოვაციური პროდუქტების შექმნის/წარმოების წახალისება. საქართველოს ხელისუფლება ინოვაციებისა და ტექნოლოგიური დონის ამაღლებას შემდეგი ნაბიჯების გადადგმით გეგმავს. ამისათვის მოვიყვანოთ სტრატეგია „საქართველო 2020“.

3.1.2 ინოვაციური საქმიანობის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები

ვინაიდან საქართველოში ინოვაციური სფეროს განვითარების ძირითად სტარტეგიას ე. წ. „დასესხების“ სტრატეგია წარმოადგენს, რომელიც, როგორც ადგილობრივი ბიზნესის ინოვაციური აქტივობის ხელშეწყობას გულისხმობს, ისე უცხოური გამოცდილების ათვისებას ითვალისწინებს, საგადასახადო პოლიტიკა ამ სფეროში მიმართული უნდა იქნას აღნიშნული ორი მიმართულებით:

პირველი მიმართულება - მეწარმეობის ხელშემწყობი სატარიფო პოლიტიკა - საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით არსებითად მოწესრიგებულია

ინოვაციური საქმიანობისთვის არაშემზღუდავი სატარიფო რეჟიმის არსებობის საკითხი. კერძოდ, საწარმოთა მოგების დაბეგვრის პროცესში ამოცანას წარმოადგენს საწარმოთა მიერ იმგვარი ხარჯების გაღების წახალისება, რომლებიც მიმართულია მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განსახორციელებლად. ასეთი სახეობის ხარჯები უნდა დაექვემდებაროს გამოქვითვას დასაბეგრი მოგებიდან მოგების გადასახადის გამოანგარიშების დროს. აღნიშნული მექანიზმი გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 53 მუხლით. [15]

ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის განახლების მიზნით ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი ხელსაწყოებისა და მანქანა-დანადგარებისთვის, აგრეთვე ტექნოლოგიური მანქანა-მოწყობილობებისა და მათი სათადარიგო ნაწილებისთვის, რომლებიც მეცნიერულ-კვლევითი მიზნებისათვის გამოიყენება, სტიმულებს ქმნის დამატებული ღირებულების ნაწილში შეღავათების დაწესება. აღნიშნული, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლით, დღგ-სგან თავისუფლდება.

მნიშვნელოვანია, რომ დამატებული ღირებულების გადასახადით ამჟამად არ იბეგრება ინტელექტუალური საკუთრების მიწოდება, კერძოდ, საპატენტო-სალიცენზიო ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია სამრეწველო ობიექტებთან, აგრეთვე საავტორო უფლებების მიღებასთან.

საბაჟო ტარიფების ნაწილში ახალი ტექნოლოგიების მასტიმულირებელი რეჟიმი ძირითადად ინტელექტუალური საკუთრების ექსპორტ-იმპორტის მაქსიმალური ლიბერალიზაციით გამოიხატება. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ამ ეტაპზე გაგვიჭირდება მხოლოდ უახლესი ტექნოლოგიების იმპორტზე ორიენტაცია, საქართველოს პირობებში ასევე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ქვეყნებში ადრე ათვისებული, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტი, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული ტექნოლოგიების მატარებელი მატერიალური პროდუქტის - მანქანა-დანადგარების, ტექნოლოგიური ხაზების, მეცნიერულ-ტექნიკური და საწარმოო დანიშნულების მოწყობილობების იმპორტის სტიმულირება.

[15] http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია საქართველოს, როგორც ქვეყანას გარდამავალი ეკონომიკით საქონელთა ნომენკლატურის მთელ რიგ მნიშვნელოვან პოზიციებზე დაწესებული აქვს ნულოვანი საბაჟო ტარიფი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამჟამად საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა არსებითად არ ზღუდავს ინოვაციური საქმიანობის განვითარებას. ამდენად, საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შემაფერხებელ ფაქტორთა შორის ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, შესაბამისი ინოვაციური ინფრასტრუქტურის შექმნას და ინოვაციურ ბიზნესთან დაკავშირებული რისკის შემცირებას.

მეორე მიმართულება - ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა - მიმდინარე ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას იძენს საქართველოში ინოვაციური საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, როგორიცაა მცირე ინოვაციური, ინჟინირინგული, კონსალტინგური და ინფორმაციული სამსახურები, ტრეინინგ-ცენტრები, ლიზინგური მომსახურეობის კომპანიები, ინოვაციური მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო და არასახელმწიფო ფონდები და სხვ.

ინოვაციური ინფრასტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს, ერთი მხრივ - სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას და მისი შესაბამისი სუბიექტების ქმედების კოორდინაციას, მეორე მხრივ - ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციას სიახლის რეალიზაციაში, ინვესტორების მოზიდვასა და ისეთი პირობების შექმნაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბაზრო ეკონომიკაში ინოვაციური პროცესის გააქტიურებას.

ამ მიზნით აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

ინოვაციურისაქმიანობის სახელმწიფო-საზოგადოებრივი მხარდაჭერის სისტემის შექმნა; პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და პროდუქციის წარმოების ზრდისთვის, ინოვაციური პროდუქციის წარმოების და ექსპორტის განვითარებისთვის სახელმწიფო ორგანოების, ფინანსურ-საკრედიტო ორგანიზაციების, კომერციული

სტრუქტურების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციალური ფონდების და სხვათა მონაწილეობა;

ინოვაციურიპროექტებისა და პროგრამების საკონკურსო სისტემის შექმნა და მცირე და სწრაფად გამოსყიდვისუნარიანი ინოვაციური პროექტების რეალიზაციის სახელმწიფო მხარდაჭერა;

- ინოვაციურისფეროში მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაცია და წარმართვა;
- ინოვაციურიპროგრამებისა და პროექტების პირდაპირი სახელმწიფო ინვესტიციები, რომელთაც გააჩნიათ ეროვნული მნიშვნელობა;
- საქართველოშიინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი გარემოს ჩამოსაყალიბებლად, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრობლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთტრანსფერს და „ნოუ-ჰაუს“ გამოყენებას;
- კერძოინვესტორებისთვის, რომლებიც წარმართავენ საქმიანობას მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში, ინოვაციის ათვისების პერიოდში სახელმწიფო მხარდაჭერის უზრუნველყოფა საგადასახადო შეღავათების დაწესებით;
- ინოვაციურისაქმიანობის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად დაბეგვრის სისტემის რეფორმირება ამორტიზაციის ანარიცხების მექანიზმების შეცვლის, დაბეგვრის ბაზის დაზუსტების და სხვა საკითხების გადაწყვეტით;
- საგარეო-ეკონომიკური ღონისძიებების ხელშეწყობა უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივ საწარმოთა შექმნისა და მეცნიერებატევადი პროდუქტის წარმოებისთვის, საზღვარგარეთ ინფორმაციისა და რეკლემის გავრცელება სამამულო ინოვაციათა შესახებ, საგამოფენო საქმიანობის სრულყოფა, უცხოურ კრედიტებში ინოვაციური ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი კვოტების უზრუნველყოფა და სხვ;
- ბიუჯეტურიდა არაბიუჯეტური სახსრების აქტიური მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციური პროდუქტის ბაზის ჩამოყალიბებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დამუშავებას;

- ინვესტორებისინტერესის გაზრდის მიზნით პრაქტიკაში შემოღებულ უნდა იქნეს ფინანსური და ტექნიკური რისკების დაზღვევა, რომლებიც დაკავშირებული არიან ინოვაციური პროექტების რეალიზაციასთან;
- დახმარებისგაწევა უცხოური და ადგილობრივი იურიდიული პირებისთვის ინოვაციური საქმიანობაში ინვესტიციების განსახორციელებლად;
- ინფორმაციულისისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს მონაცემებს ინოვაციური საქმიანობის შესახებ;
- სახელმწიფოინოვაციური ფონდის შექმნა. მას, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყანაში, შესაძლოა ეწოდოს „სახელმწიფო ინოვაციური ფონდი“, „ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ და სხვ. ასეთი სახელმწიფო ფონდების ეფექტიანი საქმიანობა კარგადაა ცნობილი ბევრ ქვეყანაში.

„ფონდი“ ხელს შეუწყობს ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებას, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციას, მეცნიერულ-ტექნიკური, მათ შორის რისკიანი პროექტების დაფინანსებას საკონკურსო წესით, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში მაღალმწარმოებელი და რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების უმოკლეს დროში დანერგვას, ბიზნეს-გეგმების მომზადებას საერთაშორისო დონეზე, ტექნოლოგიების ტრანსფერს, მეცნიერთა და სპეციალისტთა მატერიალურ სტიმულირებას, შეღავათიანი მიზნობრივი კრედიტების გაცემას და სხვ. გარდა ბიუჯეტური თანხებისა, ფონდის დაფინანსების წყაროს უნდა წარმოადგენდეს: სამინისტროების, უწყებების, ბანკების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, ცალკეული მოქალაქეების, საზღვარგარეთის ფირმების, საერთაშორისო ორგანიზაციების ნებაყოფლობითი შენატანები, „ფონდის“ მიერ ჩატარებული ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი, შეღავათიანი საკრედიტო რესურსები, გრანტები, „ფონდის“ მონაწილეობით შექმნილი პროდუქტის რეალიზაციით მიღებული მოგების ნაწილი.

ყოველივე აღნიშნულის ორგანიზაციის, წარმართვისა და ხელმძღვანელობისთვის, ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი განხორციელების კოორდინაციის მიზნით, საქართველოში, როგორც

საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში, უნდა ჩამოყალიბდეს ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი ეროვნული სამსახური.

3.1.3 „სტარტაპ“ საქართველო

ქვეყანამ უკვე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ზრდის წახალისებისთვის რაზეც მეტყველებს პროგრამა „სტარტაპ საქართველო“

პროგრამა,სტარტაპ საქართველო“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შეიქმნა ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში, რომელიც თავის მხრივ, მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. პროგრამა ერთობლივად შემუშავდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და საპარტნიორო ფონდის მიერ, რომელიც დამტკიცდა მთავრობის 2016 წლის 11 მაისის №206 დადგენილებით.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციურ იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან: ინოვაციური კომპონენტის და მაღალტექნოლოგიური კომპონენტისგან. სააგენტო ახორციელებს მაღალტექნოლოგიურ კომპონენტს და აფინანსებს პროექტებს შემდეგი მიმართულებებით: ავიაკოსმოსური წარმოება, ავტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები.

პროგრამის მახასიათებლები:

- პროექტს აფასებენ წამყვანი საერთაშორისო ექსპერტები Silico№ Valley-დან;
- საინვესტიციო დაფინანსება 100, 000 ლარამდე;
- არ მოითხოვება განმცხადებლის თანხობრივი თანამონაწილეობა;
- განმცხადებლის წილობრივი მონაწილეობა 95%; წარმატებული პროექტების წარდგენა საერთაშორისო ინვესტორებისთვის დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველიში;

- სააგენტო ერთობლივ საწარმოში 5%-იანი წილის პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში;
- მენტორინგის და ქოუჩინგის უზრუნველყოფა;

სტარტაპ საქართველო პროგრამის მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში მიღებული 149 განაცხადიდან, კონკურსის წესით, შეირჩა და დაფინანსდა 100 000 ლარის ოდენობით 20 სტარტაპი. „სტარტაპ საქართველო"-ს პროექტზე სულ 726 განაცხადი შემოვიდა, აქედან, 149 მაღალტექნოლოგიურ კომპონენტზე. [16]

3.1.4 მცირე გრანტები

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 5000 ლარის ფარგლებში მცირე გრანტების პროგრამა არის თემატური დაფინანსების მექანიზმი, რომლის მიზანია სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობა. ღია კონკურსის გზით და დადგენილი კრიტერიუმებით შერჩეული აპლიკანტები დაფინანსდებიან 3 მიმართულებით:

პროტოტიპის გრანტი გაიცემა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპის შექმნის, მისი გამოცდის, დახვეწის ან/და გაუმჯობესების მიზნით, რასაც შედეგად მოჰყვება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ან არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესება და მისი ადგილობრივ ან/და გლობალურ ბაზარზე გატანა.

ღონისძიების გრანტი გაიცემა საქართველოში ჰაკათონის, მეიქათონის, კრეათონის, ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიების ჩატარების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს მოკლე დროში ინოვაციური პროდუქტის პროტოტიპის, კრეატიული იდეის ბიზნეს მოდელის თუ პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას. ასევე, ფინანსდება პროექტები ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში ნებისმიერი სახის სამუშაო შეხვედრის ორგანიზების მიზნით; სამგზავრო გრანტი გაიცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ინოვაციების ან/და ტექნოლოგიების მიმართულებით. საგრანტო განაცხადი, რომელიც ორიენტირებულია

[16] https://gita.gov.ge/geo/static/135

სტარტაპის შექმნაზე, შემოსავლებისა და ტექნოლოგიის განვითარების კუთხით დამატებითი დაფინანსების მოძიებაზე მიენიჭება უპირატესობა.

დაფინანსების მიღება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს და რეზიდენტ ფიზიკურ პირებს (იხ. გრანტების შესახებ საქართველოს კანონი).

საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად განაცხადის გაკეთება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს. საგრანტო განაცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საპროექტო განაცხადების დაფინანსების შესახებ და შედეგების შესახებ ამცნობს პროექტის ავტორს.

3.2 ტურიზმის განვითარების ეკონომიკური სარგებელი

3.2.1 სტრატეგია „ტურიზმი 2025“

სტრატეგიის მიზანი

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას.

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“ შემუშავდა ორ ეტაპად. პირველ სამუშაო დოკუმენტში მოცემულია დეტალური სიტუაციური ანალიზის შედეგები, მათ შორის, ტურიზმის მნიშვნელობის ზრდისა და ინვესტიციებიდან მაქსიმალური ამონაგების მიღების ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორები და შესაძლებლობები, ასევე მათი შესწავლა და ანალიზი.

მეორე ეტაპზე მომზადდა სტრატეგიის დოკუმენტი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე განსაზღვრავს სხვადასხვა აქტივობაზე პასუხისმგებელ უწყებებს, განხორციელების ვადებს, მიზნობრივ მაჩვენებლებს, საჭირო დაფინანსების წყაროებსა და შედეგების საზომ ინდიკატორებს.

გეგმები

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში დასახული განვითარების გეგმები შემდეგია: [17]

- ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა არსებული დონიდან (1.9 მილიარდი აშშ დოლარი) 6. 6 მილიარდ აშშ დოლარამდე;
- დარგის მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი პირდაპირი წილი უნდა შეადგენდეს 7. 9%-ს;
- ყოველი ვიზიტორის მიერ საშუალოდ დახარჯული თანხის გაზრდა არსებული 328 აშშ დოლარიდან 600 აშშ დოლარამდე;
- ტურიზმში დასაქმებული პირების რაოდენობის გაზრდა დაახლოებით 90%-ით, არსებული 158, 515-დან 301, 284-მდე;
- ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდა არსებული 5 დღიდან 7 დღემდე;
- ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 63%-ით გაზრდა, არსებული 723 მილიონი აშშ დოლარიდან 1, 178 მილიონ აშშ დოლარამდე; ი დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგადახდისუნარიანი ბაზრებიდან ვიზიტორთა რაოდენობის გაორმაგება;

(იხ. ცხრილი №8)

[17] https://gnta.ge/wp-content/uploads/

საბაზისო და სამიზნე ინდიკატორები (ცხრილი № 8)

ინდიკატორი		2015	2025
საერთაშორისო მოგზაურები		5,901,094	11,000,000
შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან		1.9 მლრდ. აშშ დოლარი	6.6 მლრდ. აშშ დოლარი
ტურიზმის წილი მშპ-ში		6.7%	7.9%
ტურიზმთან ასოცირებულ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილების საშუალო წლიური რაოდენობა		158,515	301,284
ვიზიტორის საშუალო დანახარჯი		328 აშშ. დოლარი	600 აშშ. დოლარი
გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა		5	7
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (ტურიზმი და მომიჯნავე სექტორები)		723 მლნ. აშშ დოლარი	1,178 მლნ. აშშ დოლარი
საერთაშორისო შემოსვლების სტრუქტურა	თურქეთის, უკრაინის, თურქმენეთისა და დსთ-ს ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	92%	70%
	სხვა ქვეყნების წილი საერთაშორისო შემოსვლებში	8%	30%

როგორ მიაღწიოს ქვეყანამ სასურველ შედეგს?

სახელმძღვანელო პრინციპები სახელმწიფო, კერძო, არასამთავრობო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა სტრატეგიის განსახორციელებლად შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები:

- კერძო სექტორის წამყვანი როლი - ტურიზმი უნდა განვითარდეს საბაზრო ტენდენციებზე დაყრდნობით, ინდუსტრიის თაოსნობითა და მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით.
- სახელმწიფოს სრული ჩართულობა - ტურიზმის სფეროს წარმატებული განვითარება საჭიროებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების ჩართულობას, მათ შორის, საიმიგრაციო, განათლების, ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებისა და სხვა უწყებების კოორდინაციას.

- ბაზრების პრიორიტეტულობის განსაზღვრა - საქართველოს ტურიზმის განვითარებისა და მარკეტინგის სტრატეგია უნდა იყოს ორიენტირებული ისეთი მიზნობრივი ბაზრების დაინტერესებასა და მომსახურებაზე, რომლებიც ჩადებული ინვესტიციიდან ყველაზე მეტ ამონაგებს მოიტანენ.
- მდგრადობა - განვითარების პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს „ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების“ (National Geographic Society) - „გეო-ტურიზმის“ კონცეფცია. „გეო-ტურიზმი“ მოგზაურობის სახეობაა, რომელიც ორიენტირებულია დანიშნულების ადგილის გეოგრაფიული თავისებურების შენარჩუნებასა და დაცვაზე, მათ შორის, გარემოს, ესთეტიკის, კულტურული მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ხელშეწყობაზე.
- საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურის განვრცობა მომსახურების სფეროზე - საქართველოს სტუმართმოყვარეობის კულტურა მომსახურების სფეროზე უნდა განივრცოს ტრენინგების, განათლების ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ტურიზმის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით.

3.2.2 ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის მექანიზმი საქართველოში

NDI-ს სოციალური კვლევის თანახმად, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარდა, საქართველოში სამ ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ პრობლემას წარმოადგენს სამუშაო ადგილების სიმცირე, ფასების ზრდა და სიღარიბე. საკითხების ხუთეულში მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის საკითხები მოხვდა:[18] [19]

- სამუშაო ადგილები – 54 %
- ფასების ზრდა/ინფლაცია – 35 %
- სიღარიბე – 30 %
- პენსიები – 25 %

[18] http://forbes.ge/blog/87/turizmi%2C-rogorc-siRaribis-daZlevis-meqanizmi-saqarTveloSi

[19] https://jam-news.net/ndi

- ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება – 23 %

სიღარიბის პრობლემა სამწუხაროდ დღევანდელობაშიც აქტუალობას არ კარგავს. არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც ქვეყნას სიღარიბის დაძლევაში ეხმარება. მათ შორის, გრძელვადიან პერსპექტივაში. ის მექანიზმებია უფრო ეფექტიანი, რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას ეკონომიკური აქტივობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს უქმნის, ნაცვლად ერთჯერადი ან თუნდაც პერმანენტული სოციალური დახმარებებისა. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე კარგი საშუალება ტურიზმია. ამისათვის კი, საჭიროა პოლიტიკური ნება და თანმიმდევრული-სისტემური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის ინკლუზიურ განვითარებას.

ბევრ განვითარებად და ნაკლებადგანვითარებულ ქვეყანაში, ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს. აღსანიშნავია, რომ ტურიზმით მიღებული შემოსავლებით ყველაზე მეტ სარგებელს რეგიონის მოსახლეობა იღებს, მათ შორის, ამ სფეროდან სარგებელს სოციალურად დაუცველებიც იღბენ. ეს საშუალებები ამ უკანასკნელთათვის ადგილობრივ დონეზე თვითდასაქმების, ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაციის გაზრდით ჩნდება.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO) ყურადღებით შეისწავლა, თუ რა კონკრეტული სარგებელი შეუძლია მოუტანოს ტურიზმმა სხვადასხვა ქვეყნებში ღარიბ მოსახლეობას. შედეგად აღნიშნულმა ორგანიზაციამ გამოავლინა 7 ძირითადი მიმართულება, რაც მოგვიანებით „სიღარიბის დაძლევის 7 მექანიზმად“ იქცა. ორგანიზაცია აქტიურად და წარმატებულად მუშაობს ამ მექანიზმების ფარგლებში პროექტების განხორციელების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში. იგი რეკომენდაციას უწევს ეკონომიკის და ტურიზმის პოლიტიკის შემმუშავებლებს, იხელმძღვანელონ ორანიზაციის მხარდაჭერითა და მნიშვნელოვანი გამოცდილებით.

როგორია არსებული მდგომარეობა? ტურიზმის ადგილობრივი და მსოფლიო ტენდენციები 2011 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის ტემპი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში (იხ. ცხრილი №9,გრაფიკი № 16,)

საერთაშორისო მოგაურების ვიზიტები (2011-2018 წწ) (ცხრილი № 9)

ქვეყანა	2018	2017	2016	2015	2014	2013	2012	2011	ცვლილება % (2018-2017)
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	8,679,544	7,902,509	6,719,975	6,305,635	5,888,709	5,734,898	4,741,346	3,115,527	24.94%
სხვა ვიზიტები (არატურისტული)	1,476,194	1,419,679	1,327,159	1,049,636	884,378	780,450	635,472	403,830	13.99%
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	7,203,350	6,482,830	5,392,816	5,255,999	5,004,331	4,954,448	4,105,874	2,711,697	26.57%

როგორც მონაცემებიდან ვხედავთ 2011 წლიდან საერთაშორისო ვიზიტების ოდენობას მზარდი ტენდენციები გააჩნია თუ შევადარებთ 2011 და 2018 წლების მონაცემების , დავნახავთ 178 პროცენტიან განსხვავებას. ასევე მზარდია ტენდენცია ყოველ მომდევნო წელს, წინასთან შედარებით, რაც თავისთავად დადებითად აისახება როგორც ტურიზმის ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

ვიზიტორთა რაოდენობა (2011-2018 წწ) (გრაფიკი № 16)



ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად იზრდება ქვეყნის შემოსავლები საერთაშორისო მოგზაურობიდან. 2012 წლიდან 2018 წლამდე ეს ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება(იხ. ცხრილი №10)[20]

[20] https://gnta.ge/ge/სტატისტიკა

ქვეყნის შემოსავლები ტურიზმიდან (2012-2018 წწ) (ცხრილი № 10)

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ	1,410,902	1,719,700	1,787,140	1,868,479	2,110,709	2,704,340	3,222,074
მათ შორის:	↓	↓	↓	↓	↓	↓	↓
I.კვ.	235,930	302,818	315,461	305,180	342,590	425,673	550,730
II.კვ.	330,827	426,525	429,690	409,470	497,441	629,854	809,969
III.კვ.	487,721	604,202	649,775	742,849	813,161	1,078,274	1,210,561
IV.კვ.	356,423	386,156	392,215	410,979	457,517	570,538	650,814

რთულია იმის თქმა, ზუსტად რამდენი ადამიანია დღეს დასაქმებული ტურიზმის სექტორში, ერთი კი ცალსახად ცხადია: მოგზაურთა მიერ საქართველოში შემოტანილი და დახარჯული ფული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გახლავთ, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესებზე ნაწილდება, და სეზონურად ასაქმებს საქართველოს მოსახლეობის თვითდასაქმებულთა ძალიან დიდ სეგმენტს.

2013 წლიდან ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა რადიკალურად იცვლება. დღევანდელი გადმოსახედით, ამ ცვლილებებიდან თითქმის ოთხი წელია გასული, რაც განვითარების ტემპების გრძელვადიან ჭრილში განხილვისა და მისი ეფექტის უკვე 12-წლიან დინამიკაში შეფასების საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, თუ შევადარებთ სტრატეგიულ მიმართულებებს, აქამდე ძირითადი აქცენტი საერთაშორისო მედიაკამპანიაზე კეთდებოდა. საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების, ცნობადობის ასამაღლებლად, რეაბილიტაცია უტარდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს და ამ ობიექტების გარშემო ეწყობოდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, შენდებოდა ახალი საკურორტო ცენტრები. 2012 წლის ბოლოდან მმართველი გუნდის ერთიანი პოზიციის მიხედვით, საერთაშორისო საინფორმაციო კამპანია არამიზნობრივი ხარჯია და ასეთი ძვირად ღირებული კამპანიები აღარ დაფინანსდება. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოსათვის პერსპექტიული ბაზარი რუსეთი და დსთ-ის ქვეყნებია, იგნორირებულია აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, და ამ დროისათვის მზარდი მოთხოვნაა აზიის მიმართულებებიდან -

სამხრეთ კორეიდან, ჩინეთიდან და იაპონიიდან. ყველა მიმდინარე რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტი ჩერდება და საუბარია მათ გადახედვაზე.

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში ძირითად როლს ყოველთვის სახელმწიფო ასრულებდა. დღესაც კერძო სექტორს მხოლოდ ოპერატორის ფუნქცია აქვს, მისი როლი და მისი ფინანსური რესურსი ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისათვის საკმაოდ მწირი და შეზღუდულია. სწორედ ამიტომ, განვითარებად ქვეყნებში ტურიზმის ყველა საკვანძო მიმართულებას სახელმწიფო ხელმძღვანელობს.

ძალიან მნიშვნელოვანია გრძელვადიანი განვითარების გეგმა, რომელიც უკვე წარმოვადგინეთ. არსებული გეგმის შესრულების გარდა უმთავრესი მიზანი სწორედ ტურიზმის განვითრების ტემპის ზრდა იქნება. საკმარისია, ტურიზმის დინამიკას თორმეტწლიან ჭრილში შევხედოთ, დავინახავთ, რომ მენეჯმენტის სტილის მკვეთრი ცვლილებით სწრაფი შედეგები ვერ მიიღება.

ასევე აუცილებელია, რომ განვითარების სტრატეგიული ვექტორი კვლავ დასავლური ბიზნესისკენ მობრუნდეს. ზრდის ტემპები უნდა ავიდეს ორნიშნა მაჩვენებელზე და გაგრძელდეს ინფრასტრუქტურული განვითარება. სამუშაო ძალიან ბევრია, თუმცა მიზანმიმართული ეტაპობრივი პოლიტიკის გატარების შედეგად შესაძლებელია, საქართველო ტურისტულად განვითარებულ ქვეყნად ჩამოყალიბდეს.

3.2.3 ტურიზმის წილი საქართველოს და მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებში

მსოფლიოს ეკონომიკისა და ტურიზმის საბჭო (WTTC) 2018 წლის ანგარიშს აქვეყნებს. ორგანიზაცია უკვე 25 წელია მსოფლიოს 185 ქვეყნის ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენას სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით აფასებს.

ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს საქართველოს მშპ-ში ტურიზმის პირდაპირი კონტრიბუცია 9.3% იყო და მოსალოდნელია რომ აღნიშნული მაჩვენებელი 2028 წლამდე 10.5%-მდე გაიზრდება.

მშპ-ში ტურიზმისა და მოგზაურობის პირდაპირი კონტრიბუცია ასახავს ეკონომიკურ აქტივობას, რომელსაც ქმნიან სასტუმროები, ტურისტული ორგანიზაციები,

ავიაკომპანიები, სამგზავრო საშუალებები, რესტორნები. მთლიან კონტრიბუციაში კი შედის ყველა სფერო, რომელიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან.

დასაქმებაში ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორის მთლიანი კონტრიბუცია გასულ წელს 27%-ს შეადგენდა, რაც 483 000 სამუშაო ადგილს მოიცავს. მათ შორისაა ისეთი სამუშაო ადგილები, რომლის შექმნასაც ხელი ტურიზმის ინდუსტრიამ შეუწყო. WTTC მიმდინარე წელს აღნიშნული მაჩვენებლის 1, 2%-ით ზრდას ელოდება, 489 000 სამუშაო ადგილამდე, ხოლო გრძელვადიანი პროგნოზი 2028 წლისთვის სამუშაო ადგილების 546 000-მდე გაზრდას გულისხმობს. რაც შეეხება დასაქმებაში ტურიზმის პირდაპირ კონტრიბუციას, გასულ წელს სექტორში 140 500 სამუშაო ადგილი იყო, რაც მთლიანი დასაქმების 7.8%-ს შეადგენს, მიმდინარე წელს აღნიშნული მაჩვენებლის 142 000-მდე ზრდაა მოსალოდნელი. 2028 წლისთვის პროგნოზი 161 000 სამუშაო ადგილი. [21]

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2017 წელს ტურიზმისა და მოგზაორობის სექტორში ინვესტიციებმა 435. 1 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიანი ინვესტიციების 3. 6% იყო. WTTC 2028 წლისთვის მაჩვენებლის გაორმაგებას და 881. 3 მლნ ლარამდე გაზრდას ელოდება.

მშპ-სთან მიმართებით ტურიზმის წილს WTTC მსოფლიოს 145 ქვეყანაში ითვლის და საქართველო მათ შორის 91-ე ადგილს იკავებს.

ანგარიშის მიხედვით, მშპ-ში ტურიზმის კონტრიბუციის 35.7% საქმიან ტურიზმზე მოდის, ხოლო 64, 3% კი დასვენების მიზნით დახარჯული თანხებია. მთლიანი კონტრიბუციის 79, 5% უცხოელ ვიზიტორებზე მოდის, ხოლო 20. 5% ადგილობრივზე. შიდა ტურიზმის შემოსავლები ანგარიშის მიხედვით, 2018 წელს 4.9%-ით გაიზრდება, ხოლო უცხოელი ვიზიტორებისგან მიღებული შემოსავალი კი 5.7%-ით.

ჯამში მსოფლიოში ტურიზმისა და მოგზაურობის მთლიანი კონტრიბუცია მშპ-ში 62. 9 მილიარდი დოლარია, საქართველოში კი 4.7 მილიარდი და შედეგად ქვეყანა მსოფლიოში 91-ე ადგილზეა. რაც შეეხება რეგიონის სხვა ქვეყნებს, თურქეთში ტურიზმისა და მოგზაურობის მთლიანი კონტრიბუცია ქვეყნის ეკონომიკაში 98 მილიარდ დოლარს აღემატება და ამ მაჩვენებლით თურქეთი მსოფლიოლში მე-14-ე ადგილს იკავებს.

[21] https://forbes.ge/news/3662/turizmis-wili-ekonomikebSi

აზერბაიჯანი $5. 6 მილიარდით 81-ე ადგილზეა, სომხეთი $1. 7 მილიარდით 126-ზე, ხოლო უკრაინა კი $5. 5 მილიარდით 83-ზე.

ტურიზმისა და მოგზაურობის სფეროში პირდაპირი დასაქმების წილით საქართველო მსოფლიოში 78-ე ადგილზეა. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ტურიზმი პირდაპირი გზით 140 300 სამუშაო ადგილს ქმნის. რეიტინგში საქართველოზე წინ დგას აზერბაიჯანი, სადაც 173 400 სამუშაო ადგილს ქმნის ტურიზმის სექტორი. ქვეყანა მსოფლიოში 68-ე ადგილზეა, უკრაინა 228 100 სამუშაო ადგილით 56-ე ადგილზეა, ხოლო თურქეთი 461 000 სამუშაო ადგილით 35-ე ადგილზეა. ბულგარეთი სიაში 90 000 სამუშაო ადგილით 98-ე ადგილზეა, ხოლო სომხეთი კი 117-ზე.

WTTC მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტურიზმის არაპირდაპირ გავლენასაც ითვლის. ამ მხრივ საქართველოში გასულ წელს მშპ-ში ტურიზმისა და მოგზაურობის წილი კვლევის მიხედვით, 9. 3% იყო და ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 26-ე ადგილს იკავებს. სომხეთში ეს მაჩვენებელი 4.4%-ია და ის მსოფლიოში 67-ე ადგილს იკავებს, აზერბაიჯანში 4.2% (მსოფლიოში 74-ე ადგილი), თურქეთში 3.8% (მსოფლიოში 86-ე ადგილი).

ამავე გათვლით, ტურიზმში და მასთან დაკავშირებულ სფეროებში მომუშავეთა წილი საქართველოს მთლიან დასაქმებაში 7. 8%-ია და საქართველო მსოფლიოს 145 ქვეყანას შორის 29-ე ადგილზეა. სომხეთი სიაში 82-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი 85-ზე, ბულგარეთი 114-ზე, თურქეთი 168-ზე, უკრაინა კი 171-ზე.

კაპიტალურ ინვესტიციებში ტურიზმის წილით საქართველო მსოფლიოში 130-ე ადგილზეა.

WTTC-ს პროგნოზით, მშპ-ში ტურიზმის წილის ზრდა 2018 წელს საქართველოში 5.5% იქნება და ზრდის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 48-ე ადგილზეა. შედარებისთვის 8. 5%-იანი ზრდაა მოსალოდნელი სომხეთში და ის მსოფლიოში მეხუთე ადგილზეა.

დასაქმებაში ტურიზმის წილი, ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 2018 წელს 1. 2%-ით გაიზრდება და ზრდის მაჩვენებლით ქვეყანა მსოფლიოში 130-ე ადგილზეა. (იხ. გრაფიკი №17)

ტოპ 5 ქვეყანა საერთაშორისო ვიზიტების მიხედვით (გრაფიკი № 17)



საერთაშორისო ვიზიტები ძირითადად ზაფხულში ხორციელდება - 2,492,924, ივნისი: 606,792; ივლისი: 845,588; აგვისტო: 1,040,544) და მთლიანი ვიზიტების 34.6%-ს შეადგენს. (იხ გრაფიკი №18)

ვიზიტორების რაოდენობა თვეების მიხედვით (2018 წელი) (გრაფიკი № 18)



საერთაშორისო ვიზიტორებმა ყველაზე მეტი ვიზიტი 5,314,984 (+7.2%) სახმელეთო გზით განახორციელეს. საზღვრების მიხედვით ყველაზე მეტი ვიზიტი კი თბილისის აეროპორტის 1,402,157 (+23.7%) სასაზღვრო პუნქტიდან განხორციელდა, მას მოსდევს სარფი 1,296,833 (+17.8%) და ყაზბეგი 1,129,490 (+8%)

3.3 სოფლის მეურნეობის განვითარება

3.3.1 შესავალი

საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის ამოღფხვრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს სწორედ სოფლის მეურნეობის განვითრებაა. უნდა მოხდეს იმპორტირებული საქონლის, ადგილობრივი საქონლით ჩანაცვლება და მეტიც, აუცილებელია ქართული პროდუქცია ექსპორტის გზით გავიდეს უცხოეთში ამისთვის, საქართველოს მთავრობამ 2016 წელს შეიმუშავა სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგია და 2017 წლის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელის გახორციელებასაც კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური მდგომარეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფას, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომ სოციალურ სიკეთეებს, მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას. სტრატეგიის ხედვის განხორციელებისთვის განისაზღვრა რამდენიმე პრიორიტეტული ღონისძიება, ამოცანა და 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს სოფლის განვითარების 4 წლიანი სტრატეგია არის ახალი პოლიტიკის, ახალი დღის წესრიგის შემოტანა სოფლის განვითარების ახალი ხედვის დამკვიდრებაში, რომ სოფელი მოაზრებოდეს არა მხოლოდ როგორც სასოფლოს-სამეურნეო საქმიანობების განხორციელების ადგილად, არამედ როგორც არასასოფლო-სამეურნეო, სოციალური, კულტურული და ა. შ. განვითარების სივრცედ. სოფლის განვითარების ახალი მიდგომა აერთიანებს სხვადასხვა დარგობრივი თუ სექტორული მიმართულებების განვითარებას სოფლად მცხოვრები მოქალაქეებისთვის უკეთესი

საცხოვრებელი და საარსებო გარემოს შექმნისთვის. სოფლის განვითარების სტრატეგია გვთავაზობს საქართველოს სოფლების განვითარება დავინახოთ ჰოლისტურად. ევროკავშირი 2000 წლიდან ახორციელებს სოფლის განვითარების პოლიტიკას, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული სოფლის განვითარების პოლიტიკის მონიტორინგის და შეფასების ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ზეგავლენის, საბოლოო და შუალედური შედეგების ინდიკატორებს სამიზნე ინდიკატორებთან ერთად, რათა ნათლად გამოჩნდეს პოლიტიკის განხორციელების შედეგები, მიღწევები, ასევე თუ რა უნდა გაუმჯობესდეს ახალი პოლიტიკის დიზაინისა და დაგეგმარების დროს.

სოფლის განვითარების პროცესის მაკოორდინირებელ ორგანოდ განისაზღვრა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით. საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წლების სტრატეგიის დოკუმენტის შემადგენელია ნაწილია მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩომ უნდა უზრუნველყოფს სტრატეგიის და სამოქმედო გეგმაში გაწერილი მიზნის, ამოცანებისა და შედეგების განხორციელებაზე მეთვალყურეობა, შეფასება, არსებული გამოწვევების და შეფერხებების დროული გამოვლენა სწორი, დროული და მიზანმიმართული გადაწყვეტილებების მისაღებად. ასევე, ჩარჩოს მიზანია შეაფასოს რამდენად განაპირობა სამოქმედო გეგმაში გაწერილმა საქმიანობებმა პრიორიტეტების, ამოცანების და საბოლოო მიზნის მიღწევა და სწორად იყო თუ არა შერჩეული ღონისძიებები, სასურველი შედეგის და ცვლილების დადგომისთვის. მონიტორინგის და შეფასების ერთიანი სისტემის ჩარჩო არის სახელმძღვანელო დოკუმენტი სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის

შესაბამისად და დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი

ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. "მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით"

3.3.2 სოფლის განვითარების პირველი პრიორიტეტული სფერო

პრიორიტეტული სფერო : ეკონომიკა და კონკურენტუნარიანობა სამი ამოცანის მიღწევით შეეცდება საბოლოო მიზნის და ამოცანის შესრულებას:

- ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურირება და მოდერნიზაცია დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით.
- სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით.
- სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე.

სოფლის განვითარების პირველი პრიორიტეტული სფერო აქცენტს აკეთებს სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, რათა ხელი შეეწყოს ახალი ბიზნეს საქმიანობების ჩამოყალიბებას, პროდუქციის საწარმოო პოტენციალისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია აქტივობების განხორციელების შედეგად მოსალოდნელი შედეგები (იხ. ცხრილი №11,გრაფიკი №19)[22]

[22] https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/

სოფლის განვითარების ძირითადი ამოცანები (ცხრილი №11)

ამოცანა 1	ამოცანა 2	ამოცანა 3
70 ახალი/არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმო შექმნა, გადაირაღება და მოდერნიზება	***24*** ახალი/არსებული არასასოფლო-სამეურნეო საწარმოს შექმნა გაფართოება	***15*** ახალი ან არსებული სასტუმროს შექმნა და გაფართოება

პრიორტეტული სფეროს ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებებია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მასთან ასოცირებული უწყებები - ა(ა)იპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“, სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, შპს „საქართველოს მელიორაცია“; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - სსიპ „აწარმოე საქართველოში“, სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო - სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“.

პრიორიტეტული სფეროს ძირითადი საქმიანობებია:

- ახალი ან არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნა, გადაიარაღება, მოდერნიზება და საჭირო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა.
- საერთაშორისო სტანდარტების, საწარმოო ციკლის, თანამედროვე ტიპის წარმოების მეთოდიკის დანერგვა და საერთაშორისო სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია-ბრენდირება.
- სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების ათვისება და მელიორაციისა და ირიგაციის გაუმჯობესება.
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა.
- ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა.
- ინფრასტრუქტურის აღდგენა და გაუმჯობესება.

ამოცანის აღწერა

განხორციელებული აქტივობების საფუძველზე 2018-2020 წლებში სულ მცირე 1290 ბენეფიციარმა განახორციელა ინვესტიცია, მელიორირებული ფართობი გაზრდილია 15%-ით, სულ მცირე 24 არასასოფლო-სამეურნეო საწარმომ განახორციელა ინვესტიცია და სულ მცირე 135 ტურისტულ პროდუქტსა და ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ინვესტირება (ტურისტული ინფრასტრუქტურა მათ შორის მოიცავს: სასტუმროს და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს). ამოცანისმიღწევის დროს ყურადღება მიექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა გენდერი, ახალგაზრდები და სოციალურად მოწყვლადი და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ჩართულობას.

სოფლის განვითარების სტრატეგია (გრაფიკი № 19)



3.3.3 რა აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას?

სოფლის მეურნეობა ხშირ შემთხვევაში პირდაპირ კავშირში არაა ქვეყნის გამდიდრებასთან თუმცა ამ სექტორის უგულებელყოფაც კარგის მომტანი არაა. ქვეყანას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ერთდროულად განვითარება ამდიდრებს, მათ შორის სოფლის მეურნეობის, მაგრამ არამხოლოდ სოფლის მეურნეობის და კიდევ რომელიმე ერთის.

საქართველოში პოლიტიკოსები და არამარტო პოლიტიკოსები ქვეყნის ეკონომიკის გაზრდის მთავარ წყაროდ სოფლის მეურნეობას ხშირად ასახელებენ. შედეგი კი საპირისპიროა. 1998 წელს სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს ეკონომიკაში 28% იყო, 2008 წელს - 9. 4%, ხოლო 2018 წელს 8%-ია (2018 წლის პირველი ნახევრის მიხედვით).

ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილის შემცირება არ ნიშნავს, რომ საქმე ცუდადაა. ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკაში მცირდებოდა სოფლის მეურნების წილი, როდესაც ისინი განვითარების ეტაპებს გადიოდნენ. რაც უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ, სოფლის წილი მით უფრო სწრაფად მცირდებოდა. მართალია, ცალკე აღებული სოფლის მეურნეობაც ვითარდებოდა, მაგრამ სხვა სექტორები იმდენად სწრაფად ვითარდებოდნენ, რომ მისი წილი მცირდებოდა.

საქართველოში ცალკე აღებული სოფლის მეურნეობაც არ იზრდება, ანუ წლიდან წლამდე უფრო მეტ პროდუქციას არ აწარმოებს. თუ ამ დარგში წარმოებულ პროდუქციას მუდმივ ფასებში ავიღებთ (ინფლაციით გამოწვეული ღირებულების ზრდა რომ პროდუქციის წარმოების ზრდაში არ ჩაითვალოს), გამოვა, რომ 2003 წელს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორში 1. 9 მილიარდი ლარის პროდუქცია წარმოებულა, ხოლო 2017 წელს - 1. 8 მილიარდი ლარის.

2004-2018 წლებში (2018 წლის პირველი ნახევრის მიხედვით) სოფლის მეურნეობის ზრდის საშუალო ტემპი -0. 4%-ია. სოფლის მეურნეობა ყველა მთავრობისთვის პრიორიტეტული იყო და ყველა მთავრობაში შედიოდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც დარგის განვითარებაზე მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავდა. 2013 წლიდან

სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვან სფეროდ გამოცხადდა და მეტად დაფინანსდა, ვიდრე 2012 წლამდე. განსაკუთრებით პრუდუქტიული აღმოჩნდა უფასო ხვნა-თესვის პროგრამა, რამაც 2013 წელს სექტორის 11. 3%-იანი ზრდა გამოიწვია. თუმცა ამის შემდეგ, 2014-2015 წლებში, ზრდის ტემპი 1. 5%-მდე შემცირდა, 2017-2018 წლებში კი ზრდის ნაცვლად სექტორი დაახლოებით წლიურ 3%-იან კლებას განიცდიდა. 2016 წლის შემდეგ წარმოებული პროდუქცია დაახლოებით 100 მლნ ლარით შემცირდა. შემცირდა როგორც ნათესი ფართობები, ასევე პირუტყვის სულადობა. [23]

ჯამში 2013-2018 წლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის მთავრობამ მილიარდ ლარზე მეტი დახარჯა. ეს თანხა განაწილდა შეღავათიან აგროკრედიტზე, უფასო ხვნა-თესვაზე, საწარმოების დაფინანსებაზე, პროექტ "დანერგე მომავალზე", ქართული ჩაის აღდგენის პროგრამაზე, აგროდაზღვევაზე, ყურძნისა და ციტრუსის ფასის სუბსიდირებაზე, სასოფლო- სამეურნეო ტექნიკაზე, დარგში მეცნიერულ კვლევებზე და ა. შ. აღნიშნული მილიარდი ლარის გარდა, ცალკე 300 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენასა და აშენებაზე.

მთავრობის მიერ ფულის ხარჯვას დაემატა ისიც, რომ ევროკავშირსა და ბევრ სხვა ქვეყანაში საბაჟო გადასახადის გარეშე შეგვიძლია პროდუქციის გატანა. 2013 წლიდან რუსეთმა სოფლის მეურნეობის ნაწარმზე ემბარგო მოგვიხსნა. უამრავი დონორი ეხმარება გრანტებით და ცოდნით სოფლის მეურნეობის დარგს. თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად სოფლის მეურნეობის ზრდის ტემპი მცირდება რა განაპირობებს ყოველივე ამას?

აუცილებელია გადაიჭრას პრობლემა და ის თუ რის მიღწევას ცდილობ ქვეყანა გვინდა - სოფლის მოსახლეობა, რომელსაც კარგი შემოსავალი აქვს, თუ სოფლის მოსახლეობა, რომლის მთავარი დანიშნულება სოფელში ცხოვრებაა და ქალაქიდანაც დავეხმარებით დანიშნულების შესრულებაში.

ეკონომიკაში ცნობილია, რომ თუ მთავრობა ასუბსიდირებს რომელიმე დარგს, ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ეს დარგი სუბსიდიაზე ყოფნას მიეჩვევა და ვერ განვითარდება.

[23] https://forbes.ge/news/5143/ratom-ver-viTardeba-soflis-meurneoba

შესაძლოა, ნაწილობრივ ასეც დაგვემართა. ცალსახად შეუშალა ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვამ. ამაზე არავინ არ კამათობს, უბრალოდ მოსახლეობის ნაწილს ურჩევნია, საქართველოს მიწა საქართველოს მოქალაქის საკუთრება იყოს, ვიდრე უფრო განვითარებული და დიდი სოფლის მეურნეობა გვქონდეს.

ეს ორი გარემოება ეკონომიკურად არასწორია, მაგრამ შესაძლოა პოლიტიკურად (ანუ არჩევნებზე ხმების მისაღებად) სწორია, ამიტომ, როცა შესაბამისი პოლიტიკური ფონი იქნება, ორივე მიდგომა სწრაფად შეიცვლება.

გაცილებით დიდი პრობლემაა დარგის განვითარების მიმართ არსებული მცდარი ზოგადი ხედვა. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ანუ სოფელში მცხოვრებ ერთ ოჯახზე საშუალოდ ერთ ჰექტარამდე მიწა მოდის. ამას ისიც განაპირობებს, რომ საქართველოში ურბანიზაციის დონე მაღალი არ არის. მოსახლეობის 42% (1. 6 მლნ ადამიანი) სოფელში ცხოვრობს. მცირემიწიანობა მიწის ნაკვეთების არაეფექტიანად გამოყენებას იწვევს. რთულია წარმოების მოცულობის ხარჯზე შედარებით იაფად გაყიდო პროდუქცია (მასშტაბის ეფექტი) და მცირე საოჯახო მეურნეობა საშუალო ან მსხვილ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნა. ამას ემატება ცოდნის ნაკლებობა, რაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის პრობლემა არ არის.

ამ დროს ქვეყნის პოლიტიკა მიმართულია სოფლის მოსახლეობის რაოდენობის შემცირებისდაგვარად გაზრდისკენ თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი მიწაზე შრომით მაინც გაიტანენ თავს. სოფელში მცხოვრები ადამიანებიდან 700 ათასი ითვლება ე. წ. თვითდასაქმებულად, რადგან საკუთარ ბოსტანში მუშაობენ ან/ და შინაურ ცხოველებს უვლიან.

ე. ი. გარკვეული დილემის წინაშე ვართ: თან მცირემიწიანობა უნდა დასრულდეს და თან ბევრი ხალხი უნდა ცხოვრობდეს სოფელში. ოქროს შუალედია, სოფელში ცხოვრობდეს, მაგრამ მიწაზე არ მუშაობდეს, რაც სულაც არ არის არარეალური. ამ დილემის გადაჭრას სჭირდება სხვა დარგების გაცილებით სწრაფად განვითარება, ვიდრე დღეს ვითარდება, ადამიანები კი თავად გადაწყვეტენ, სად ურჩევნიათ ცხოვრება. დღეს განვითარებულ ქვეყნებში ურბანიზაციის დონე 70-80%-ს აღწევს, ხოლო სოფლის

მეურნეობაზე დასაქმების მაქსიმუმ 5% მოდის (საქართველოში - დაახლოებით 40%). დღეს განვითარებული ქვეყნების სოფლები უფრო მდიდარი და მოვლილია, ვიდრე ოდესმე.

სასოფლო- სამეურნეო ცოდნის პრობლემასაც საკმაოდ დიდი ნაწილი უკავია თუმცა ეს ყოველივე განათლების სფეროდან მოდის და ანალოგიური სიტუაცია სხვა დარგებშიც ხშირია.

რომ შევაჯამოთ, ასეთი სურათი იკვეთება:

1. სოფლის მეურნეობის სუბსიდირებისთვის (ამ მიმართულებით დახარჯული ნებისმიერი თანხა სუბსიდიაა, თუნდაც სარწყავი სისტემების მშენებლობა) მთავრობა ზედმეტ გადასახადს ახდევინებს იმ დარგებს, რომლებსაც სოფლის მოსახლეობის ნაწილი უნდა დაესაქმებინა;
2. სოფელში ცხოვრება მეტად არის სუბსიდირებული, ვიდრე ქალაქში ცხოვრება. პრობლემის მოსაგვარებლად მეტი ურბანიზაცია გვჭირდება, მაგრამ მთავრობა ფულს ურბანიზაციის შეფერხებაში იხდის;
3. უცხოელებისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვამ შეაფერხა დარგში ინვესტიციების, ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოსვლა;
4. ისე როგორც სხვა სფეროებში, ცოდნის მხრივ აგრარული მიმართულებითაც გვიჭირს. ამასთან, აგრარული მიმართულებით განათლების მიღება პრესტიჟულიც არ არის და იმის ალბათობაც მცირეა, რომ ათასიდან რამდენიმე მაინც მოახერხებს კარგი ცოდნის მიღებას, როგორც ეს იურისტების, ექიმების ან ეკონომისტების შემთხვევაში ხდება;
5. მსოფლიო ეკონომიკის 95% მომსახურებასა და მრეწველობაზე მოდის, მაგრამ ჩვენ იმედებს მაინც სოფლის მეურნეობაზე ვამყარებთ, რადგან ჩვენი ცოდნით და ბიზნესგარემოთი, მხოლოდ იქ გვაქვს შანსი, სხვას ვაჯობოთ, სადაც ჩვენი უპირატესობა ჰავამ, ნიადაგმა და მცენარეების ჯიშებმა განაპირობა და არა განათლებამ და ეფექტიანმა შრომამ;

3.3.4 სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკაში

მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებში სოფლის მეურნეობის წილი შემდეგია: [24]

[24] http://forbes.ge/news/3440/soflis-meurneobis-wili-ekonomikaSi

- ჩინეთი - 8,6%
- ჩეხეთი - 2,5%
- დანია - 0,9%
- ესტონეთი - 2,6%
- ფინეთი - 2,7%
- საფრანგეთი - 1,6%
- გერმანია - 0,6%
- ირლანდია - 1%
- იტალია - 2,1%
- ლუქსემბურგი - 0,3%
- ნიდერლანდები - 1,8%
- ნორვეგია - 2,4%
- კატარი - 0,2%
- საუდის არაბეთი - 2,7%
- ესპანეთი - 2,8%
- გაერთიანებული სამეფო - 0,6%

რაც შეეხება საქართველოს მეზობელ ქვეყნებს, თურქეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის წილი 7%-ია, აზერბაიჯანში 6%, სომხეთში 17,7%, ხოლო რუსეთში 4, 7%.

აღსანიშნავია, რომ მაგალითად 2005 წელს როდესაც საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი 17% იყო, საქართველოს მშპ $6,4 მილიარდს შეადგენდა, 2016 წელს კი $14,4 მილიარდს.

საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩევა ვაჭრობა (18,7 პროცენტი) და მრეწველობა (17,0 პროცენტი). შემდგომ პოზიციებს იკავებს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10,7 პროცენტი), მშენებლობა (10, 2 პროცენტი). აქართველოში პოლიტიკოსები და არამარტო პოლიტიკოსები ქვეყნის ეკონომიკის გაზრდის მთავარ წყაროდ სოფლის მეურნეობას ხშირად ასახელებენ. შედეგი კი საპირისპიროა. 1998 წელს სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს ეკონომიკაში 28%

იყო, 2008 წელს - 9.4%, ხოლო 2018 წელს 8%-ია (2018 წლის პირველი ნახევრის მიხედვით). (იხ. გრაფიკი №20,21)

სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს ეკონომიკაში (1998-2018წწ) (გრაფიკი № 20)



სოფლის მეურნეობის წლიური ზრდა (2004-2018წწ) (გრაფიკი № 21)



3.3.5 სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდის პოტენციალი

სურსათის ექსპორტის გაზრდის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს: [25]

- ხარისხის გაუმჯობესება და არსებული საექსპორტო საქონლის – თხილის, სასმელების (ღვინო, მინერალური წყლები, წვენები, ლიმონათები), ჩირისა და ტრადიციული ქართული პროდუქტების (ჩურჩხელის, სულგუნისა და მაწვნის) – რაოდენობის გაზრდა
- ამ ეტაპზე ძირითადად არამოთხოვნად ბაზრებზე ექსპორტირებული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ, მოთხოვნად ბაზრებზე შესვლა. ეს პროდუქტები შეიძლება იყოს ხილი, თაფლი, ჩაი, მცენარეები და სანელებლები, ახალი და გამხმარი ბოსტნეული
- ახალი საქონლის, განსაკუთრებით სერთიფიცირებული ორგანული და მაღალი დამატებული ღირებულების ნიშური პროდუქტების წარმოება, როგორიცაა ახალი და გაყინული კენკროვნები (მოცვი, მაყვალი, ჟოლო და სხვ.), მაღალი ღირებულების ახალი და გადამუშავებული ხილი (მაგ. კივი, ფეიხოა), ჰიბრიდული ხილი (მაგ. აგლი – გრეიფრუტი+მანდარინის), გრეპლი (ყურძენი+ვაშლი), აპრიუმი (ქლიავი+ატამი), ჰიბრიდული კენკროვნები, როგორიცაა ბოისენბერი, ჯოსტანბერი და ლოგანბერი, სამკურნალო მცენარეები.

ყველა ეს ვარიანტი უნდა განვიხილოთ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ყველა ამ პროდუქტს ერთნაირი პოტენციალი არ აქვს (იხ. გრაფიკი №22). ბუნებრივი პირობების თვალსაზრისით, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძლიერი შედარებითი უპირატესობა აქვს. საქართველო გამოირჩევა კლიმატური პირობების შთამბეჭდავი მრავალფეროვნებითა და წყლის უხვი რესურსებით. მიუხედავად იმისა, რომ პატარაა (ირანის საერთო ფართობის 4%, თურქეთის საერთო ფართობის 9%), საქართველოში არსებობს 12 სხვადასხვა კლიმატური ზონა. მსოფლიოში არსებული ნიადაგის 54 ტიპიდან საქართველოში წარმოდგენილია 49. ამიტომ საქართველოს აქვს მრავალფეროვანი პროდუქტების კალათის

[25] https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2017/10/PP_01_2017_ge.pdf

წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები. არსებულ არადივერსიფიცირებულ საექსპორტო კალათს არ განაპირობებს ქვეყნის მწირი შესაძლებლობები.

სურსათის ექსპორტის შემადგენლობა (2014-2016წწ) (გრაფიკი №22)



თუმცა საქართველოს შედარებითი უპირატესობა ყველა პროდუქტისთვის თანაბრად დიდი არ არის. საქართველოს მიწის ფართობი შეზღუდულია, რადგან ქვეყანა პატარაა. სასოფლო-სამეურნეო მიწა დაყოფილია მიწის შედარებით მცირე ნაკვეთებად. მეტიც, მიწის საკუთრების ფორმა ამჟამად უაღრესად დანაწევრებულია. საკუთრებსში არსებული მიწის ნაკვეთების 75% 1 ჰა-ზე ნაკლები ზომისაა. ამგვარად, საქართველოს არ აქვს რესურსების ბაზა, საერთაშორისო ბაზრებზე მსხვილ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (მაგალითად, მარცვლეულზე) კონკურენცია გაუწიოს არგენტინას, კანადას ან უკრაინას. საქართველოს არ აქვს ხელსაყრელი პირობები მასობრივი პროდუქტების ბაზრებზე კონკურენცია გაუწიოს საფრანგეთს, იტალიას ან ჩილეს მასობრივი ღვინის სეგმენტში; ესპანეთს, მაროკოს ან ჩინეთს სტანდარტული მანდარინის ან ატმის სეგმენტში. ყველაფერ ამისთვის მსხვილი, ერთმანეთთან დაკავშირებული და თითქმის იდენტური პირობების მქონე მიწის ნაკვეთებია საჭირო.

თუმცა საქართველოს აქვს პოტენციალი (ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით), გახდეს კონკურენტული მაღალი დამატებული ღირებულების ნიშური პროდუქტების

ბაზრებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებში არ იწარმოება ან მათი წარმოება სხვაგან რთული და ძვირი ჯდება. ასეთი პროდუქტების მაგალითებია ტრადიციული ტექნოლოგიებით დამზადებული ექსკლუზიური ღვინოები, პოლიქრომიული თაფლი (სხვადასხვა კლიმატურ ზონების ნექტრის მატარებელი მცენარეების შემცველი თაფლი) და განსაკუთრებით შაქრის მაღალი შემცველობის მქონე მაყვალი. ყველა ამ პროდუქტს აქვს უნიკალური სამომხმარებლო თვისებები და მათზე მოთხოვნა მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირშიც მაღალია. ამგვარად, მართალია, სასურველია, გაიზარდოს არსებული ექსპორტის რაოდენობა, რათა შევძლოთ ექსპორტის დივერსიფიცირება და ღირებულების ზრდას, მაგრამ ნიშური და ორგანული პროდუქტების წარმოების განვითარება და გაუმჯობესება საუკეთესოდ შეეფერება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პირობებს.

3.3.6 ექსპორტის ზრდის შემზღუდველი ფაქტორები

ორი უმთავრესი და ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი, რაც ამჟამად ზღუდავს ექსპორტის ზრდას:

- ნედლეულის დეფიციტი
- საექსპორტო ჯაჭვების ცუდი ორგანიზება ფერმებიდან საექსპორტო ტვირთების მიწოდებამდე.

ნედლეულის დეფიციტი: იმისთვის, რომ მეტი გავიტანოთ ექსპორტზე, უნდა შევძლოთ მეტი საქონლის წარმოება. ამჟამად ამ შესაძლებლობის სიმწირე დიდ ტვირთად აწევს საქართველოს ექსპორტს, როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე მრეწველობაში. არსებობს გადამამუშავებელი ქარხნები (მაგ. ბოსტნეულის), რომელთაც შეუძლიათ მეტი საქონლის წარმოება და ექსპორტირება, თუმცა არ აქვთ საკმარისი ნედლეული, რათა სრულად აითვისონ საკუთარი პოტენციალი. პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს/დაბალ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობას საქართველოში განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

საკუთრებაში არსებული მიწების დანაწევრება. საკუთრებაში არსებული მიწების 75% შედგება 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთებისგან, მიწების მხოლოდ 0, 16% შედგება 50 ჰა-ზე1

მეტი მიწის ნაკვეთებისგან. პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით კაპიტალის ინვესტიცია ხშირად არ არის საკმარისი ასეთი მცირე ნაკვეთებისთვის. **საკუთრებაში არსებული მიწების** დანაწევრება. საკუთრებაში არსებული მიწების 75% შედგება 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთებისგან, მიწების მხოლოდ 0, 16% შედგება 50 ჰა-ზე1 მეტი მიწის ნაკვეთებისგან. პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით კაპიტალის ინვესტიცია ხშირად არ არის საკმარისი ასეთი მცირე ნაკვეთებისთვის. რათა მოახდინონ ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების კოორდინირება, როგორიცაა ჯიშების შერჩევა და დროული მიწოდება. შედეგად, რთულია, საკმარისი რაოდენობის სურსათის პროდუქტების შეგროვება, რომლებიც არის ჰომოგენური და აკმაყოფილებს იმპორტიორების სერთიფიცირებული ხარისხისა და თვალსაჩინოების მოთხოვნებს.

ცოდნის სიმწირე. საქართველოში ცოტა ფერმერს აქვს ელემენტარული ფორმალური განათლება ან გაუვლია ტრენინგი მოსავლის წარმოებასა და ფერმის მართვაში. ზოგიერთმა განათლება საბჭოთა პერიოდში მიიღო, თუმცა ამ ცოდნის დიდი ნაწილი დღეისთვის მოძველებულია და ეფუძნება ფერმისა და წარმოების იმ წყობას, რომელიც დიდი ხანია აღარ არსებობს. ბევრს, ვინც ფერმერობა 1990-იან წლებში დაიწყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქმის არ აქვს სასოფლო-სამეურნეო განათლება. საქართველოში სოფლის მეურნეობის კვლევებისა და საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება მწირია და ვერ აწვდის ფერმერებს სურსათის ღირებულებათა ჯაჭვებში კონკურეტულობისთვის საჭირო ტრენინგებსა და ექსტენციის მომსახურებას. პრობლემას ქმნის ასევე ის ფაქტიც რომ, უამრავი ფერმერი არ ენდობა ინოვაციებს და სპეციალსტთა რეკომენდაციებს.

დასკვნები და რეკომენდაციები

ქვეყნის ეკონომიკის გამართულად ფუნქციონირება მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. არსებობს მისი გაჯანსაღებისკენ მიმართული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც ქვეყანას შეუძლია არსებული ეკონომიკურ ვითარება მკვეთრად გააუმჯობესოს და ხელი შეუწყოს ისეთი დამაზიანებელი ფაქტორების პრევენციას ხელი, როგორებიცაა: ინფლაციის დონის გაზრდილი მაჩვენებელი, უმუშევრობა, ინვესტიციების შემცირება, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, წარმოების დონის შემცირება, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის პერმანენტული შემცირება, საგარეო ვალის ზრდა და სხვა.

საგადასახდელო ბალანსის ეფექტიანი დონის მიღწევა სწორედ ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს ექსპორტის დონის ზრდას და ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესებას. საგადასახდელო ბალანსის ფუნქცია ხომ მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ახასიათებს ქვეყნის სავაჭრო და ფინანსურ ურთიერთობებს საზღვარგარეთთან. მისი დახმარებით ქვეყანას შესაძლებლობა ეძლევა გააფართოვოს შიდა წარმოება და აითვისოს ისეთი უცხოური ბაზრები რომელიც აქამდე მიუღწეველი იყო. ხოლო მეორე მხრივ, საგარეო ვაჭრობის ტენდენციები პირდაპირ კავშირშია დასაქმებასთან და ქვეყნის ეკონომიკის საერთო დონესთან.

ჩვენი აზრით, საგადასახდელო ბალანსის გაუმჯობესების ერთ-ერთ უპირველეს წინაპირობას სწორედ ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და შესაბამისად ექსპორტის ზრდა წარმოადგენას, ასევე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ინვესტიციების დონის ზრდა, რადგან ეკონომიკის სიჯანსაღე პირდაპირ პროპორციულ დამოკიდებულებაშია ინვესტიციების დონესთან.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსის საკითხებზე ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები და წინადადებები:

1. საქართველო უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ძალიან დიდი უარყოფითი სალდოთი ხასიათდებოდა, იმპორტი ორჯერ და მეტად აღემატებოდა ექსპორტს, რაც სერიოზულ შეფერხებებს ქმნის საკმაოდ მასშტაბური საგარეო ვალის მომსახურებისათვის; ასევე, იქმნება სერიოზული საფრთხე ეროვნული ვალუტის – ლარის სიმყარის შენარჩუნებისათვის; მესამე, ქვეყანაში ფინანსური რესურსების უკმარისობაა, რაც ინვესტიციების ნაკლებობას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას აფერხებს.
2. უკვე ცნობილ ტენდენციად ჩამოყალიბდა რომ ჩვენ უფრო მეტს მოვიხმართ, ვიდრე ვაწარმოებთ. და თუ ეს ასეა, ბუნებრივია კითხვა - როგორ ვახერხებთ მოვიხმაროთ უფრო მეტი, ვიდრე ვაწარმოებთ?ეს კი პირველ რიგში ფულადი გზავნილების ჭარბ რაოდენობაშია. აღსანიშნავია, რომ არაერთი წელია საქართველოში საბანკო არხებით ყოველწლიურად სტაბილურად გადმოირიცხება 1-დან 1,5 მლრდ-მდე აშშ დოლარი (ამ ინფორმაციას აღრიცხავს საქართველოს ეროვნული ბანკი). ეს არის იმ თანხის ნაწილი, რომელსაც საქართველოდან წასული ჩვენი თანამემამულეები საზღვარგარეთ გამოიმუშავებენ და სამშობლოში ნათესავებს საარსებოდ უგზავნიან. სწორედ ეს ქმნის ჩვენი თანამოქალაქეების მოხმარებისათვის საჭირო მნიშვნელოვან წყაროს. აუცილებელია რომ ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არა სხვა ქვეყნიდან გამოგზავნილ ფულად შემოდინებებზე იყოს დამოკიდებული, არამედ ადგილობრივმა მოსახლეობამ დამოუკიდებლად იმუშავოს ქვეყნის ეკონომიკური განვითრებისთვის.
3. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სალდოს სიდიდე, ძალზე მგრძნობიარეა მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მიმართ, განსაკუთრებით კი, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებში მომხდარი კრიზისების მიმართ, როგორც მაგალითად, 2008 წელს. საქართველოს საგადასახდელო ბალანსის სალდოზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფასები ენერგომატარებლებზე, რადგანაც, რეგისტრირებული იმპორტის სასაქონლოსტრუქტურაში ენერგომატარებლებს 1/5 უკავია. გლობალიზაციის პროცესები საგადასახდელო ბალანსის დინამიკაზე და

სტრუქტურაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს, მით უფრო, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომლის რეგისტრირებული საქონლისა და მომსახურების ექსპორტი მთლიანი შიდა პროდუქტის 30.3%-ს შეადგენს (2018 წლის მონაცემებით) ასევე აღსანიშნავია რომ ექსპორტის უდიდესი წილი სწორედ რეექსპორტზე მოდის.

4. მოცემულობა, რომ საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მონაცემები საშუალებას არ იძლევა სრულყოფილად განხორციელდეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება, ძალიან სამწუხარო ფაქტს წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემები როგორებიცაა საგადასამხდელო ბალანსის მიმდინარე და კაპიტალის ანგარიშები, არ გამოირჩევიან ტენდენციურობით, შესაბამისად არ ჩანს მათი ზრდისა თუ კლების ტენდენცია, რაც შუძლებელს ხდის სწორი ანალიზისა და მითუმეტეს პროგნიზირების საშუალებას.
5. ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, რომლის დამოკიდებულებაც ენერგორესურსებზე ძალიან მაღალია და საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 43.2% შეადგენს, (2018 წლის მონაცემები), სადაც მცირეა შიდა ბაზარი და მოსახლეობა დაბალი მსყიდველუნარიანობით ხასიათდება, ამასთან ექსპორტის ზრდის ტემპები საკმაოდ დაბალია, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ეს გამოწვეულია შემდეგით:

- პირველი, საქართველოს სავაჭრო ბალანსი ქრონიკულად დეფიციტურია, რაც განპირობებულია ეკონომიკის სუსტი განვითარებით, წარმოებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობით და სასაქონლო ექსპორტის ზრდის დაბალი ტემპებით;
- მეორე, ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში დომინირებს ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, მაშინ როდესაც მცირეა მზა პროდუქციის წილი, ხოლო მაღალტექნოლოგიური პროდუქცია თითქმის გამორიცხულია. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში დომინირებს ენერგომატარებლები და სურსათი, ამასთან, ძალიან მცირეა კონკურენტუნარაინი საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი უახლესი მანქანა-დანადგარების წილი;

- მესამე, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის მთელ შემოსულ ნაკადში გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა.

6. ტურიზმის განვითრებაზე საუბარს, საკმაოდ დიდი დრო დავუთმეთ და დავასკვენით კიდევაც რომ მისი განვითრება უდიდეს ზეგავლენას ახდენს სავაჭრო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრაზე (მიმდინარე ანგარიშის მომსახურების მუხლს სტაბილურად ზრდადი ტემპი გააჩნია) , თუმცა აუცილებელია, რომ ქვეყანა არ აღმოჩნდეს ე. წ „ტურისტული ხაფანგ: -ის ტყვეობაში. ამისთვის კი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს მთავრობის მიერ დასახულ პრიორიტეტებს. კერძოდ, პრიორიტეტულად უნდა გამოცხადდეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. ეს შესაძლებელი გახდება, თუკი მთავრობა განათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარებას რეალურ პრიორიტეტად დასახავს. ასევე აუცილებელია სამთავრობო ხედვაში აქცენტი გაკეთდეს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, მის ინდუსტრიალიზაციაზე. ამისთვის კი საჭიროა ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის - „საქართველო 2020“-ის განახლება და გამდიდრება. განახლებული დოკუმენტის მიხედვით კი, თითოეულმა სამთავრობო უწყებამ ყოველწლიურად უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა და განახორციელოს ის ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, რომლის მიზანიც იქნება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა.

7. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითრებისათვის პირველ რიგში აუცილებელია, იმპორტზე ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი წარიმართოს კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი უახლოესი მოწყობილობა-დანადგარების შესაძენად, რამაც უნდა გაზარდოს საექსპორტო შემოსავლები. ექსპორტის ზრდის პროცესში, აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებით მიღებული ვაჭრობის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან. მნიშვნელოვანია

განვითარებული ქვეყნების მხრიდან სავაჭრო პრეფერენციების მინიჭება საქართველოსათვის, პრეფერენციათა გენერალური სისტემის ფარგლებში და მათი ეფექტური გამოყენება. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მომსახურების ექსპორტის განვითარებას, განსაკუთრებით კი სატრანსპორტო, ტურიზმის, ტელეკომუნიკაციების, კავშირგაბმულობის და საბანკო მომსახურეობის სფეროში. ასევე აუცილებელია, რომ დიდი ყურადღება დაეთმოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას იმ დარგებში, რომლებიც განისაზღვრება სწორი საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავების შედეგად.

ჩვენს ნაშრომში განხილულია საქართველოს საგადასახდელო ბალანსის 2018 და წინამდებარე წლების ანალიზი.კიდევ უფრო საინტერესო იქნება 2019 წლის ბოლოსთვის არსებული ინფორმაცია,მით უფრო,რაც უკვე სახეზეა ქვეყნის შიგნით არსებული არასტაბილურობა,რამაც თავის მხრივ უკვე ასახვა ჰპოვა ეროვნული ვალუტის მკვეთრ დევალვაციასა და ტურიზმის სფეროდან მომავალი საფრთხეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი.ნ - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა თბ.2018 წ
2. გოგოძე.ი, ასლამაზიშვილი.ნ - საგადასახდელო ბალანსი - ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი თბ.1992 წ.
3. ვანიშვილი.მ, ვაშაკიძე.ზ, კიკაჩეიშვილი.ნ, ჯუღელი.გ -საქართველოს საგადასამხდელო ბალანსის სტრუქტურისა და დინამიკის თვისებურებანი თბ.2009 წ.
4. http://www.geostat.ge/zogadi,informacia
5. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2019/annual_2018.pdf
6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba n.d.
7. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
8. https://tradingeconomics.com/armenia/balance-of-trade, https://tradingeconomics.com/georgia/balance-of-trade, https://tradingeconomics.com/azerbaijan/current-account
9. http://forbes.ge/news/1911/saqarTvelo-cudi-vaWaria თ. გ.
10. https://1tv.ge/news/amerikis-khma-yvelaze-meti-qartveli-emigranti-rusetshi-ckhovrobs/
11. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304
12. https://www.iom.int/
13. http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo
14. https://idfi.ge/ge/georgia-in-innovations-global-index
15. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe
16. https://gita.gov.ge/geo/static/135
17. https://gnta.ge/wp-content/uploads/
18. http://forbes.ge/blog/87/turizmi%2C-rogorc-siRaribis-daZlevis-meqanizmi-saqarTveloSi
19. https://jam-news.net/ndi
20. https://gnta.ge/ge/სტატისტიკა
21. https://forbes.ge/news/3662/turizmis-wili-ekonomikebSi
22. https://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/
23. https://forbes.ge/news/5143/ratom-ver-viTardeba-soflis-meurneoba
24. http://forbes.ge/news/3440/soflis-meurneobis-wili-ekonomikaSi
25. https://www.get-georgia.de/wp-content/uploads/2017/10/PP_01_2017_ge.pdf